პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წლიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და ხრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.
მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგი: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისთვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 120 სამშაბათი, 30 მაისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 30 მაისი 1922 წ. № 120

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისია გაკვეთილათ თუ არა?

კვირის გაზეთებში მკითხველები გაეცნობოდნენ მთავრობის განცხადებას ამ უკანასკნელ დღეებში საქართველოს სხვადასხვა ადგილას მომხდარ შავრაზმელების და კონტრ რევოლიუციონერების ეგრედ წოდებულ „გამოსვლების“ შესახებ. ამ განცხადებაში არ არის დავიწყებული სულ უბრალო წვრილმანი ამბავიც კი, თუნდაც ის, რომ ჯგუფმა, 2—3 პირისაგან შემდგარმა, ძოინდომა აჯანყების მოხდენა, მაგრამ საკმარისი იყო შორიდან მილიციონერი დაენახა, რომ მყისვე დაფანტულიყო. ერთი სიტყვით, ეს განცხადება ნამდვილი ასლია იმის, რაც სინამდვილეში მოხდა, არც მეტი, არც ნაკლები.

ყველანი, მომხრე და არა მომხრე, თანამგრძნობი და არა თანამგრძნობი, უნდა ძალაუნებურათ დაფიქრდნენ და დაეკითხონ თავის თავს: რისთვის, რა უნდოდათ ამ ვაჟბატონებს, როცა ეს „საქმე“ განიზრახეს? ვისი რჩევით და დარიგებით ახდენდენ ამას? ან ვიზე და რაზე ეყრდნობოდენ, როცა ეს „გამოსვლები“ გადაწყვიტეს? ყოველივე ამას რომ ფარდა აეხადოს, საჭიროა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ საქართველოდან სამარცხვინოდ გაქცეულ და პუანკარესთან და ლლოიდ-ჯორჯთან შეკედლებული მენშევიკების ლიდერები (ჟორდანია, ჩხეიძე, წერეთელი, ჩხენკელი და ძმანი მათნი) უკვე მეოთხე თვეა, რაც შეუწყვეტლად გაძლიერებული ენერგიით თავისებურათ აზადებენ ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიულ სამელმწიფოების საზოგადოებრივ აზრს. ამ ვაჟბატონების „უტყუარი“ ინფორმაციით (ცნობით) საბჭოთა საქართველო უკვე ამა წლის 11 თებერვლიდან (ეს ის დღეა, როცა გაბრიყვებულ უსუსურ მოსწავლე ბავშვების „გამოსვლები“ მოხდა) აჯანყების ალმია გახვეული, რომ საქართველოს მუშები და გლეხები იარაღით ხელში ებრძვიან რუსეთის წითელ ჯარს, რომ სწარმოებს შეუპოვარი ბრძოლა ქართველ ხალხსა და ბოლშევიკებს შორის, რომ ქართველ ხალხს არ სურს შეურიგდეს საბჭოთა ხელისუფლებას და მუხლ მოდრეკით ემუდარება იმპერიალისტურ ანტანტას ბ.ბ. ჟორდანიას და წერეთლის საშუალებით მოხედოს საქართველოს და გამოუგზავნოს მას სამხედრო დახმარება ბოლშევიკების წინააღმდეგ. ასეთი ცნობებით დღე მუდამ კვებავენ ეს ვაჟბატონები იმპერიალიზმის ცნობილ ჩამდგმელებს ლლოიდ ჯორჯებს, პუანკარეებს და საერთოთ ევროპა-ამერიკის მთელ რეაქციონურ და კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიულ პრესსას.

რანაირი ჭორი და ცილისწამება არ გნებავთ, რომ ამ ვაჟბატონებს არ გაევრცელებიოთ და არ ავრცელებდენ საბჭოთა საქართველოს შესახებ. ყველა კარგათ მიხვდება, თუ რისთვის სჭირიათ ბ.ბ. ჟორდანიებს და წერეთლებს ასეთი ჭორები და ტყუილები. რამდენათ მოქმედებენ ეს ტყუილები და ჭორები საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზიაზე, ამას ჩვენ ვერ ვიტყვით. მაგრამ როგორც სჩანს ამ დღეებში მომხდარი ამბები მოწმობენ, რომ ჟორდანია-წერეთლების და ვეშაპელების ადგილობრივ აგენტებზე ამ ჭორებს თავისი გავლენა მოუხდენიათ ისე, რომ აჯანყების გუნებაზე დამდგარან.

ვინ უნდა აჯანყებულიყო ან რისთვის უნდა აჯანყებულიყო, ამაზე ქართველი მენშევიკების და სხვა კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების კომიტეტები არ დაფიქრებულან ამათ იფიქრეს, რომ რადგან იმათი ბელადები საზღვარგარეთ ქართველ ხალხის განუწყვეტელ აჯანყებაზე სწერენ, ალბათ ეს აჯანყება საჭირო უნდა იყოსო. და შეუდგენ აჯანყებისათვის მზადებას. მაგრამ ვინ იცის, შეიძლება, და ეს უფრო დასაშვებიცაა, ასეთი ამოცანა—აჯანყების მოწყობა—ჟორდანია-ვეშაპელის აგენტებმა პირდაპირ საზღვარგარეთიდან მიიღეს. და მართლაც, იმათაც მობეზრდათ ალბათ პუანკარეს და ლოიდ-ჯორჯის დერეფანში ამდენი ხნის ლოდინი, და შეუთვალეს: თუ ნამდვილი აჯანყების მოხდენა არ შეგიძლიანთ ამის მოჩვენება, გარეგნობა ან რაიმე სკანდალი მაინც მოახდინეთ, რომ შემდეგ ჩვენ საბაბი მოგვცეს, საერთო აჯანყებაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩვენ ევროპაში ხელახლა მოვრთოთ ყვირილიო.

ასე იყო თუ ისე, ქართველ მენშევიკების ცეკამ, მემარჯვენე სოც.-ფედერალისტების ც. კ.-მ, ნაციონალ-დემოკრატების ცეკამაც,—ერთი სიტყვით, ყველა ანტისაბჭოთა პარტიებმა და ჯგუფებმა შეიმუშავეს საერთო გეგმა ფართო მასშტაბით აჯანყების მოწყობა თუ არა, დიდი დემონსტრაციების მოხდენა 26 მაისისათვის. რა თქმა უნდა, ეს გეგმა ეცნობა საზღვარგარეთ ვისაც ჯერ იყო. როგორც სჩანს, იქ ყოველივე ეს დაიჯერეს, იმ ზომამდის დარწმუნდნენ აჯანყების მოხდენაში, რომ ჯერ ჩვენი მეამბოხენი მზათაც არ იყვნენ აჯანყება დაეწყოთ, ჯერ კიდევ 24 მაისის საოხუნჯო გამოსვლებსაც ადგილი არ ქონებია, **ნაუენის რადიო ტელეგრაფი 26 მაისის** რიცხვით მთელ ქვეყნიერებას აუწყებდა შემდეგს: **„საქართველოში იფეთქა საყოველთაო აჯანყებამ. ბათომთან სისხლისმღვრელი შეტაკებებიაო“.**

აქ ახსნა განმარტება საჭირო აღარაა. რა დამოკიდებულება და რა კავშირი არსებობს საქართველოს კონტრრევოლიუციონერებსა და ევროპის უკიდურეს რეაქციონერებს შორის. მაგრამ ეს კავშირი და ურთიერთობა ჩვენ ისე რიგათ როდი გვაინტერესებენ. ჩვენ გვაწუხებს და გვაფიქრებს მშრომელი ხალხის, მუშათა კლასის ინტერესები. როგორ აბუჩად იღებენ ეს ავანტიურისტები, ეს მოღალატენი, საქართველოს მშრომელ მასსას! გვეტყვიან: თქვენც ე. ი. ბოლშევიკებიც, ახდენდით აჯანყებებსო! დიახ, ვახდენდით. მაგრამ როგორ? თუ სიმართლე გნებავთ იცოდეთ, ჩვენ რამდენიმეთ მხოლოდ ვხელმძღვანელობდით იმ გამოსვლებს, რომლებსაც თვით მშრომელი ხალხი და განსაკუთრებით გლეხკაცობა თითონ ახდენდა მენშევიკების მთავრობის წინააღმდეგ, უფრო ხშირათ, რამდენათაც ჩვენ ეს შეგვეძლო გლეხკაცობას ჩვენ თავს ვაჭერინებდით აჯანყებიდან აი ასეთი იყო და არის განსხვავება მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის.

ჩვენ, ბოლშევიკები, გამოვდიოდით და ვეყრდნობოდით თვით ხალხის სიღრმიდან გამოსულ მოძრაობაზე; ჩვენ ხელოვნურად არ ვქმნიდით ამ მოძრაობას; პირიქით ეს მოძრაობა, ბუნებრივი და პირდაპირი შედეგი იყო იმ რეჟიმისა, რომელიც მენშევიკებმა შექმნეს ჩვენში. რა განსხვავებაა ამ მხრით ჩვენსა და მენშევიკებს შორის? აბა დაუკვირდით, თუ ვინ იწვევს ან ვის უნდა დღეს ჩვენში აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ? ესენი გახლავან ან ყოფილი გაბატონებული მემამულეები ან უკმაყოფილო ბურჟუაზია, ან მედუქნეები, ან უნიადაგო შოვინიზმით მოწამლული ინტელიგენცია ან კიდევ ეკლესიის თავადები პატრიარხ-კათალიკოს ამბროსის მეთაურობით, რომელიც თავის ანაფორაში თურმე ვეღარ ეტევა და პუანკარეს და ჟორდანიას უგზავნის აქედან ყალბ ცნობებს. ეს მეტათ საგულისხმიეროა. ვის იჭერდენ და ამწყვდევდენ მენშევიკები ციხეებში? ესენი იყვენ მხოლოდ მუშები და გლეხები და ათასში ერთხელ თუ მოხვდებოდენ იქ ინტელიგენტები? ვინ მოხვდა ციხეში თუნდ მენშევიკების ამ უკანასკნელ „გამოსვლების“ დროს? მოსწავლე ახალგაზრდობა, მოწამლული ინტელიგენტები ან მედუქნეები. მშრომელი მასსა კი—არა თუ განზე დარჩა ჟორდანია-ვეშაპელ ამბროსის მოძრაობიდან, არამედ ყველა მუშა და გლეხი მათ კიცხავს და გმობს, და ამავე დროს მზათაა კიდევაც ამ ვაჟბატონებს პასუხი მოსთხოვონ. ამის მაგალითები ჩვენ უკვე გვაქვს. მუშის ან გლეხის ჩათრევა ამბროსის და ჟორდანიას მიმდევრებს შეუძლიანთ მხოლოდ დატყუილებით და მოცდუნებით და ისიც მეტათ იშვიათათ.

ამნაირათ, რომ ჩვენ მენშევიკებს და საერთოთ ყველა შოვინისტ-ნაციონალისტებს ჩვენმა მშრომელმა მასსამ შეაქცია ზურგი, ეს დღეს ყველასათვის, თვით ამ ვაჟბატონებისთვისაც ცხადზე-უცხადესი უნდა იყოს.

ჩვენ ახლა ერთი რამ გვაინტერესებს: შესწყვეტენ თუ არა ეს უსაქმო ვაჟბატონები თავის აღმაშფოთებელ პროვოკაციას და საზიზღარ ჭირიკანობას საქართველოს მშრომელი ხალხის ზურგს უკან? ასწავლის იმათ რამეს მიღებული გაკვეთილი თუ არა? ბოლოს და ბოლოს ტყუილს ხომ მოკლე ფეხები აქვს და უნდა იცოდენ, რომ ბოლოს კათალიკოზ ამბროსის და ნოე ჟორდანიას ევროპიელი მფარველებიც გაიგებენ თავისთვის არასასიამოვნო ამბავს. რომ როგორც საბჭოთა ხელისუფლება, ისე წყეული ბოლშევიკებიც მაგრად გრძნობენ თავის თავს საქართველოში, რომ რაგინდ სანატრელი არ უნდა იყოს იმათთვის **ბაქოს ნავთი და ჭიათურის შავი-ქვა**, ვერც მენშევიკების პროვოკაცია და ვერც ამბროსის ლოცვა-კურთხევა მათ ვერ უშველიან

თუ ყოველივე მოლოდინის გარეშე, ბ. ბ. მენშევიკების წყალწაღებულ და უჯარო ბელადებს ეს უკანასკნელი გაკვეთილიც ჭკუას ვერ ასწავლის, მაშინ ჩვენ გადაჭრით უნდა მოვახსენოთ მათ:

რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!

ფ. მახარაძე.

მუშათა ერთიანი ფრონტის მოღალატენი

როგორც ეხსომება ჩვენს მკითხველებს, ბერლინში შეკრებილმა სამი ინტერნაციონალის კონფერენციამ აირჩია კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა მუშათა მსოფლიო კონგრესის მოწვევა. კომინტერნის წინადადებით ეს უნდა მომხდარიყო კიდევ გენუის კონფერენციის დროს, რათა იქ შეკრებილი იმპერიალისტური ბურჟუაზიას დაპირისპირებოდა მსოფლიო პროლეტარიატის მისწრაფებათა გამომხატველი ყრილობა და მშრომელთა გაერთიანებული ნებისყოფის ძლიერი დემონსტრაციით ხორცი შესხმოდა რეალურათ საერთაშორისო პროლეტარიატის გაერთიანებას შრომის დღევანდელ მინიმალურ მოთხოვნილებათა პლატფორმაზე, ყველა ქვეყნებში შეტევაზე გადმოსული კაპიტალის წინააღმდეგ. ასეთ მინიმუმათ მიჩნეული იყო მეორე და მეორე ნახევარ ინტერნაციონალის ბელადებთან შეთანხმებით: 8 საათის სამუშაო დღე, კაპიტალთან ბრძოლა, საბჭოთა რუსეთის დაცვა და მისთვის მხარის დაჭერა და სხვ.

იმ თავითვე ცხადი იყო, რომ მეორე და მეორენახევარი ინტერნაციონალის ბელადები თავის მიმდევარ მუშების მიერ იძულებით მიდიოდნენ თვით ასეთ მინიმალურ მოთხოვნილებათა თანხმობაზეც, ცხადია, რომ ის ხალხი, რომელთა სინდისი შესყიდული აქვს ბურჟუაზიას, რომელთა ხელი გასვრილია კაპიტალისა და მისი დამცველი სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლი რევოლიუციონერ მუშების სისხლში, რომელთაც პირადათ, ზოგ ქვეყნებში ფაქტიურათ განაწილებული აქვთ ქვეყნის მართვა გამგეობის საქმე ნაციონალურ ბურჟუაზიასთან ერთათ და ზოგან კი მორალურათ ატარებენ პასუხისმგებლობას ამ ბურჟუაზიული მთავრობების „მოღვაწეობისათვის“, ცხადია, რომ ასეთი ხალხი, თუ შეიქნებოდა აქტიური მონაწილე მუშათა ერთიანი ფრონტის კამპანიის, ისიც მხოლოთ როგორც ხელის შემშლელები და საბოტაჟნიკები. ეს დაამტკიცა აშკარით სხვათა შორის ხსენებულ მუშათა კონგრესის მოწვევის საკითხმა და იმ დამოკიდებულებამ, რომელიც ჰქონდათ ყვითელი ინტერნაციონალის ბელადებს ამ კონგრესის მოწვევ კომისიასთან. ყოველი ღონე იხმარეს მათ, რომ ხელი შეეშალათ ამ კომისიის შეკრებისათვის, თვით მის შეწვევაც, რაც შეუძლებელი გახადეს დაეჩქარებიათ კონგრესის მოწვევა რათა ის შემდგარიყო კიდევ გენუის კონფერენციის დროს. როგორც იქნა კომისიაც შეიკრიბა კომინტერნის წარმომადგენლების ენერგიული პროტესტის შემდეგ, მაგრამ ყვითლების აშკარა წინააღმდეგობამ კონგრესის მოწვევაზე აიძულა კომინტერნის წარმომადგენლები გამოსულიყვნენ კომისიიდან, რათა თავისი შემდეგი მონაწილეობით იქ არ დაეფარათ ის ღალატი, რომელსაც სჩადიოდნენ მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლები ამ კომისიაში.

ამ ფაქტით, კონგრესის აშკარა საბოტაჟით ერთხელ კიდევ და ზედმეტად გამოაშკარავდა, რომ მეორე ინტერნაციონალის ბიუროკრატია არის ბურჟუაზიის აგენტურა მუშათა წრეებში, რომ მათი საშუალებით, შეტევაზე გადმოსული კაპიტალი, არღვევს პროლეტარიატის რიგებს, და უსპობს მას ყოველგვარ შესაძლებლობას გაერთიანებისას და ასეთი გაერთიანებული ძალებით თავის მოსისხლე მტრების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისას.

იმ წრეებს მუშათა კლასისას, რომლებიც დღემდე მისდევენ ამ ყვითელ ინტერნაციონალებს, ერთხელ კიდევ ეძლევათ შემთხვევა დარწმუნდნენ, ვის ინტერესებს იცავს დღევანდელი გაალმასებული სოციალისტურ ბრძოლაში, ვანდერველდე შეიდემან ბაუერის კომპანია, ვის წისქვილზე უშვებენ ისინი წყალს, ვის სასარგებლოდ მიმართავენ ისინი მათი დღეს კიდევ მიმდევარი მუშათა ნაწილების ენერგიას.

პირველი ცდა საერთაშორისო მუშათა კონგრესის მოწვევისა ამ „ბელადებთან“ თანამშრომლობით დამარცხდა, მაგრამ ეს არის დამარცხება არა კონგრესის იდეის, რომელიც, როგორადაც არ უნდა დაჯდეს ეს, შეიკრიბება უკვე მარტო კომინტერნისა და მის მიმდევართა მეთაურობით, არამედ დამარცხება კაპიტალისაგან მოსყიდული „მუშათა ბელადების“ შაიკის.

დროშა კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობის მთელი მსოფლიოს მასშტაბში კვლავ მხოლოთ კომინტერნს უპყრია ხელში, როგორც ის ამდენხანს ეპყრა მას. მას მხარს დაუჭერს და გაჰყვება არა მარტო მის გავლენის ქვეშ მყოფი პოლიტიკურათა და პროფესიონალურათ შეკავშირებული მილიონები შრომის არმიის, არამედ მასთან ერთათ ამ ბრძოლის ფერხულში ჩაებმებიან ის მუშებიც, რომლებიც ამდენხანს მისდევდნენ ყვითელ ინტერნაციონალებს. ამის მაჩვენებელი ფაქტები მრავლდება, აქით ერეკება მათ ლოღიკა კლასთა ბრძოლის და მთელი დღევანდელი სინამდვილის.

ნ.

სალამი ფუხარა ხალხს

აჭარის რამოდენიმე რაიონებში ფუხარა ხალხის კომიტეტების არჩევნები უკვე დასრულდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კომიტეტებში ყველგან ფუხარა ხალხის ერთგული შვილები აირჩიეს და მათ ჩააბარეს ქვეყნის ბედი.

მართალია, ბეგები და აღები უშუალოთ, პირდაპირ ვერ ღებულობდენ მონაწილეობას ფუხარა ხალხის კომიტეტების არჩევნებში, მაგრამ მათ ყავდათ თავისი აგენტები, რომლებიც დაძრწოდენ აქა-იქ და ცდილობდენ რამენაირად აემღვრიათ წყალი და ხელი შეეშალათ არჩევნებისათვის. მათ კარგად ესმით, თუ რას ნიშნავს ფუხარათა კომიტეტი და აი სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ თავისი აგენტების საშვალებით ჯერ კიდევ პირველი არჩევნების დროს ლამობდენ რამენაირად შესულიყვნენ კომიტეტებში და ციხე შიგნიდან აეფეთქებიათ.

ფუხარა კომიტეტების ორგანო ადგილობრივად აკავშირებს, ამაგრებს და აძლიერებს აჭარის მშრომელთა მასას: ჩვენ მუშაობაში მათ ავტორიტეტს ვეყრდნობით ჩვენ, მათ გარშემო თავს ვუყრით მშრომელთა მასას და უშუალო კავშირის წითელ ხაზს ვაბამთ ქალაქსა და სოფელს შორის.

ეს ვერ მოუნელებიათ, ვერ გადაუტანია ბეგებს, რომლებიც ფუხარათა გარშემო პროვოკაციას აწარმოებენ და სურთ შებღალონ მათი ავტორიტეტი. ასეთ პირობებში—ფუხარა კომიტეტების შესუსტება, დაუძლურება და ავტორიტეტის დაცემა საჭირბოროტო საკითხია მათთვის და, ცხადია, რომ ისინი თავის მხრივ არ დაზაკლებენ ხელს, რომ სისრულეში მოიყვანონ თავიანთი ბინძური ზრახვანი.

მაგრამ აჭარის მშრომელმა ხალხმა კარგად იცის, თუ ვისთან აქვს საქმე, ვინ არის მისი მეგობარი და ვინ ორგული მტერი. ის არჩევნების დროს ყველა ასარჩევ პირებს „კბილებს უსინჯავდა“ და ვიდრე აირჩევდა—სამჯერ „გაცხრილავდა“. ეს ადვილი ასახსნელიც არის: აჭარის ფუხარამ ბეგებს და აღებს ჩამოართვა მიწები და თავიანთ შორის გაანაწილა. ეს არის უდიდესი მონაპოვარი, რომელიც რევოლიუციის პროცესში მიიღო აჭარის მშრომელმა მასსამ.

მისთვის მიწა უდიდესი იარაღია, ხოლო ამ იარაღის ჩამორთმევით, თითქმის სავსებით სუსტდება მისი მოსისხლე მტერი ბეგი. მშრომელი ხალხი თავისი კომიტეტების საშუალებით თავის განკარგულებაში იტოვებს ჩამორთმეულ მიწებს: ის ამ კომიტეტებით ხელისუფლობს და ამაგრებს რევოლიუციონურ პოზიციებს. მაშასადამე, ეს კომიტეტები ამაგრებენ, ანმტკიცებენ რევოლიუციის მონაპოვარს.

ყოველივე ამას აფასებს, ანგარიშს უწევს აჭარის მშრომელი ხალხი და მტკიდროთ უჭირავს ხელში ბრძოლის უდიდესი იარაღი, მტკიცეთ სდგას სადარაჯოზე თავის ციხე სიმაგრეში—ფუხარა ხალხის კომიტეტში და იმორჩილებს იარაღ-აყრილ მტერს.

ერთ კვირაში კომიტეტების არჩევნები სავსებით დამთავრდება და მაშინ შეიძლება სრული ჯამი გაუკეთოთ მის შედეგებს მაგრამ მანამდისაც კი შეიძლება აშკარად, თამამად ვსთქვათ, რომ აჭარაში ძლიერ დიდია კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი.

ეს დამტკიცდა ჯერ კიდევ პირველი არჩევნების დროს და ფუხარა ხალხის პირველ ყრილობაზე, სადაც კომუნისტური პარტიის გავლენა ძლიერ დიდი გამოდგა. ეს გარემოება ჩვენ პირდაპირ გვავალებს კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა აჭარაში და ჩვენს გარშემო შემოვიკრიბოთ მშრომელი მასსა.

აჭარის მშრომელი ხალხი დღეს გამარჯვებული გამოდის თავის მტერთან შეჯახებაში.

ის ირჩევს თავის კომიტეტებს, თავის ერთგულებს და მოკეთეებს.

სალამი აჭარის ფუხარა ხალხს!

გაუმარჯოს მის სიმტკიცეს და რევოლიუციონურ შემოქმედებას!

„პროლ. ბრძოლა“.

კომუნისტური ინტერნაციონალის მოწოდება

ყველა ქვეყნის მუშებისადმი

(„სოციალისტ-რევოლიუციონერების“ პროცესის გამო).

1922 წლის 1 ივნისს მოსკოვში იწყება პროცესი, რომელსაც ყურადღება უნდა მიაპყრას მთელი ქვეყნის შეგნებულმა მუშებმა. სამართალშია მიცემული 47 ცნობილი წევრი იმ პარტიისა, რომელიც ატარებს მყვირალა სახელს „სოციალისტ რევოლიუციონერებისას“. ზოგიერთმა მუშებმა, რომლებიც ნაკლებათ იცნობენ რუსეთის უმთავრეს პოლიტიკურ პარტიებს, შეიძლება მართლაც იფიქრონ, რომ აქ საქმე ეხება ნამდვილ სოციალისტებსა და ჭეშმარიტ რევოლიუციონერებს. ნამდვილად კი ისინი ისეთივე „სოციალისტები“ და „რევოლიუციონერები“ არიან, როგორც „რადიკალ სოციალისტები“ და „დამოუკიდებელი — სოციალისტები“ საფრანგეთში. ეს არის **ბურჟუაზიული პარტია**, რომელიც თავის თავს უწოდებს „დემოკრატიულ“ ან უფრო უკეთესი, „სოციალისტურ“ პარტიას, ხოლო არსებითად კი იგი, აგერ უკვე რამოდენიმე წელიწადია, აწარმოებს შეიარაღებულ ბრძოლას რუსეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ განსვენებულმა პლეხანოვმა, როცა იგი მარქსისტი იყო უწოდა ამ პარტიას „სოციალისტ რეაქციონერები.“

ესერების დანაშაული რევოლიუციის წინაშე.

ესერების ბოროტმოქმედებანი, რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ ჩადენილი, აურაცხელია, ჯერ კიდევ 1917 წლის მარტის რევოლიუციის პირველ დღეებში, ესერების ხელმძღვანელებმა, მენშევიკების ხელმძღვანელებთან ხელი ხელ ჩაკიდებულებმა მუშების და ჯარის კაცების მიერ დაპყრობილი ხელისუფლება მიართვეს ლანგარით—აშკარა იმპერიალისტურ ხროვას გუჩკოვისა, მილიუკოვისას და თავად ლვოვის მეთაურობით და სხვა ანტანტის ერთგულ მოყმეთ. მთელ თავის მაშინდელ გავლენას მასებზე ესერები და მენშევიკები ანდომებდენ იმას, რომ დაერწმუნებიათ ჯარის-კაცები, გლეხობა და მათი გავლენის ქვეშ კიდევ მყოფი ნაწილი მუშებისა, გადაეცათ ხელისუფლება ბურჟუაზიისათვის და განაგრძობდნენ იმპერიალისტური ომი, რომელიც რუსეთის სახელით დაიწყო მეფე ნიკოლოზ მე-2. 1917 წლის ივნისში ყოფილი მინისტრი კერენსკი, სოციალისტ რევოლიუციონერების პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი, თავისი პარტიის ყველა მეთაურებისა და მენშევიკების პარტიის ყველა ხელმძღვანელების დასტურითა და სრული დახმარებით, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების ბრძანების თანახმად, იწყებს შეტევას ფრონტზე, რომელმაც იმსხვერპლა რუსეთის ჯარის კაცებისა და მუშების რამოდენიმე ათეულ ათასეზის სიცოცხლე. 1917 წლის ივლისში ესერები და მენშევიკები, რომლებიც იმ დროს, ეგრეთ წოდებულ, ბურჟუაზიულ კოალიციონურ მთავრობაში შევიდნენ, სცდილობდნენ შეექმნათ თავისებური დრეიფუსის პროცესი ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. ესერების და მენშევიკების მინისტრები ავრცელებდენ საზიზღარ ცილისწამებას და ბრალს სდებენ ლენინს, ტროცკის, ზინოვიევს, ლუნაჩარსკის და სხვა ძველ რევოლიუციონერებს იმაში, თითქოს ისინი იყვნენ აგენტები კაიზერ ვილჰელმისა, რომლისგანაც მათ თითქოს ფულები მიეღოთ ომის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის. ეს იყო შეგნებული ცილისწამება, ეს იყო გულცივად შედგენილი გეგმა მიეცათ რუსეთის რევოლიუციონური პროლეტარიატის მეთაურები მაშინ კიდევ ძლიერი, სიბრაზისაგან დამთვრალი და გონება დაკარგული თეთრგვარდიელთა რეაქციისათვის ხელში. ამავე მომენტს ეკუთვნის მენშევიკებისა და ესერების ცდა პეტროგრადის მუშების განიარაღებისა. 1917 წლის ივნისის დღეებში ესერებმა და მენშევიკებმა ამოხოცეს რამოდენიმე ათეული პეტროგრადელი მუშა და კრონშტადტის მატროსი. რამდენიმე ათეული გაზეთი ბოლშევიკური მიმართულებისა დახურულ და აკრძალულ იქნა კოალიციონური მთავრობის მიერ და კერძოთ მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრის, „სოციალისტ რევოლიუციონერთა“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, აქსენტიევის მიერ. „სოციალისტ რევოლიუციონერთა“ კარნახით თეთრ-გვარდიელთა ოფიცრობა არბევს პროფ-კავშირთა შენობას და მუშათა მოძრაობა იძულებული ხდება დროებით გადავიდეს არალეგალურ მდგომარეობაზე ქვეყნის ყველა შეიარაღებულ ძალების სამხედრო უფროსობას „ესერი“ კერენსკი აძლევს შავრაზმელ გენერალს, კორნილოვს. გენერალ კორნილოვისა და „სოციალისტ - რევოლიუციონერთა“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი წევრის სავინკოვის მოთხოვნილების თანახმად ესერებმა და მენშევიკებმა, ბურჟუაზიულ მინისტრებთან ერთად, ოფიციალურად აღადგინეს რუსეთში სიკვდილით დასჯა. მენშევიკი მინისტრი წერეთელი გამოდის სიკვდილით დასჯის სასჯელის აღდგენის ერთ უმთავრეს დამცველთაგანად. და მენშევიკების მეთაურები—ვოიტინსკი, დანი, ბოგდანოვი და ლიბერი ყოველ ღონეს ხმარობენ სიკვდილით დასჯის სასჯელის აღდგენის აუცილებლობის დასამტკიცებლათ. კერენსკის მთავრობის ბრძანების თანახმად, ფრონტის ახლოს მდებარე რაიონში დახვრიტეს ჯავშნოსანით მთელი ბოლშევიკური პოლკები.

რამოდენიმე კვირის შემდეგ შავრაზმული გენერალი კორნილოვი, რომელიც დიდ თანამდებობაზე წამოჭიმა კერენსკის მთავრობამ, უხსნის რა ფრონტს გერმანულ იმპერიალისტურ ჯარებს, უკვე აშკარა შეტევით მიდის რევოლიუციონურ სატახტო ქალაქის წინააღმდეგ. ირკვევა, რომ გენერალ კორნილოვთან სავსებით შეთქმული იყო „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტიის მაშინდელი წევრი ავქსენტიევი, ხოლო ნახევრად შეთქმული კი თვით კერენსკი. რუსეთის პროლეტარიატის დიადი გამარჯვების შემდეგ, რომელიც მან მოიპოვა 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს), „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტიის ცენტრალური კომიტეტი აწყობს აზნაურებისა და იუნკრების აჯანყებას პეტროგრადელ მუშების წინააღმდეგ. „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი, ერთი დღევანდელ ბელადთაგანი—ა. გოცი, არის მთავარი მომწყობი იუნკრების აჯანყებისა, რომელიც ასურებელ მსხვერპლად დაუჯდა პეტროგრადის მუშებს. 1918 წლის დასაწყისიდან „სოციალისტ - რევოლიუციონერების“ პარტია აშკარად უთანხმდება ანტანტას და თავის ცენტრალურ ორგანოების რეზოლიუციებში სავსებით აშკარად მოუწოდებს ინტერვენციისაკენ. „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩერნოვის, ავქსენტიევის, ზენზინოვის, მინორის და სხვათა მეთაურობით, აშკარად უკავშირებდა კონტრ-რევოლიუციონურ ჩეხო სლოვაკელ ლეგიონებს, რომელიც უმთავრესად შესდგებოდა რუსეთში მყოფ ჩეხო-სლოვაკელ სამხედრო—ტყვე ოფიცრობისაგან. ჩეხის მუშებმა ძალიან კარგად იციან, ვისგან შესდგებოდა ეს ლეგიონები: ესენი იყვნენ ის ელემენტები, საიდანაც კრეფდნენ გერმანიაში სპარტაკელების „დამამშვიდებელთ“ და კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მკვლელებს.

ამ ჩეხო-სლოვაკიის ლეგიონების დახმარებით „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტია იგდებს ხელში ძალაუფლებას სამარაში და იქიდან აწყობს სამოქალაქო ომს რუსეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ. ათეული და ათეული ათასი მუშა, რომელიც თანაუგრძნობდა საბჭოთა ხელისუფლებას, მოკლულ იქმნა იმ თვეებში ესერების პარტიის მიერ, რომელნიც მოქმედებდნენ ჩეხო-სლოვაკიის ლეგიონებთან ერთად მარტო სამარაში, მისი დატოვების წინა დღეებში, წითელი არმიის შეტევის გამო, ესერებისა და ჩეხო-სლოვაკების ჯარებმა, „სოციალისტ - რევოლიუციონერთა“ პარტიის ლიდერის ჩერნოვის ბრძანებით, დახვრიტეს 600 მუშა-ბოლშევიკი. ესერებისა და ჩეხო-სლოვაკის ლეგიონების წყალობით ციმბირში ხელისუფლება გადადის ადმირალ კოლჩაკის ხელში, რომელსაც სურდა რუსეთის რევოლიუციის მიმართ ეთამაშა, პარიზის კომუნის ჯალათის, გენერალ გალიფეს, როლი. „სოციალისტ-რევოლიუციანერთა“ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრები ავქსენტიევი და ზენზინოვი უზანგს უჭერენ ხელით ადმირალ კოლჩაკის თეთრ ცხენს. რამოდენიმე თვეების განმავლობაში „სოციალისტ-რევოლიუციონერების“ პარტია არა შიშით, არამედ სინდისის პასუხისმგებლობით ეწევა სამსახურს ადმირალ კოლჩაკთან მანამდის, სანამ გამაგრებული გენერალი არ გამოყრის მათ მთავრობიდან, როგორც გამოწურულ ლიმონს. გამოიყენა რა სავსებით „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტიის ღალატი, კოლჩაკი ასახლებს ავქსენტიევსა და ზენზინოვს საზღვარგარეთ. არხანგელსკში ინგლისელი იმპერიალისტები აწყობენ თეთრების მთავრობას, რომელსაც მხარს უჭერს ინტერნაციონალისტული ინგლისური ჯარი. და ამ მთავრობის სათავეში ინგლისელი იმპერიალისტები სვამენ ესერების იდეურ საფუძვლების ჩამყრელს, პოლიტიკურათ „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტიასთან ახლაც ძალიან ახლოს მდგომ ჩაიკოვსკის. ათეული და ასეული აქტიური წევრები „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტიისა, იარაღით ხელში აწარმოებენ ბრძოლას რუსეთის მუშების წინააღმდეგ იუდენიჩისა და დენიკინის არმიის რაზმებში. იმ ოლქებში, რომელნიც დროებით ხელში იგდებდა ვრანგელი, დენიკინი, იუდენიჩი და კოლჩაკი სწარმოებს თავაშვებული ქვემძრომლობა და ღალატი ესერებისა და მენშევიკების პარტიის ცნობილ წევრთაგან.

ესერების ტერორი რუსეთის პროლეტარიატის წინამძღოლთა წინააღმდეგ.

ეს კიდევ ცოტაა. „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტია გადადის ინდივიდუალურ ტერორზე რუსეთის პროლეტარიატის ყველაზე უფრო ცნობილ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. შესანიშნავ ტრიბუნს პეტროგრადის მუშებისას ამხ. ვოლოდარსკის კლავენ „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტიის წევრები, რომელნიც მოქმედებდნენ, როგორც ეს ახლა მტკიცდება ესერების პარტიის ცნობილი წევრის სემიონოვის წერილებიდან,— **„სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად.** რევოლიუციონურ მუშათა საყვარელ ბელადის ვოლოდარსკის კუბოს, მიუხედავად წვიმისა და ცუდი ამინდისა, გასვენების დღეს უკან მისდევს 500,000 მდე პეტროგრადის მუშები და მუშა-ქალები. პეტროგრადის მთელი პროლეტარიატი გააერთიანა ესერებისა და მკვლელების წინააღმდეგ სიბრაზის გრძნობამ.

ძველ რევოლიუციონერს, რომელმაც ცარიზმის დროს გაატარა ათეული

ციხე, მუშათა რევოლიუციის თავდადებულ მებრძოლს—ამხ. ურიცკის ჰკლავს სტუდენტი კანეგისერი „სახალხო სოციალისტების“ ჯგუფის წევრი იმ ჯგუფის რომელიც ემხრობა „სოციალისტ რევოლიუციონერებს“. იმავ დღეს ესერების პარტიის წევრმა ფანი კაფლანმა, რომელიც მოქმედებდა, როგორც ეს მტკიცდება რამოდენიმე მოწმეთა ჩვენებით და როგორც ეს უეჭველად დამტკიცდება მოსკოვის პროცესზე,—**ესერების პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დავალებით**,—ესროლა მსოფლიო პროლეტარიატის ხელმძღვანელს ამხ. ლენინს. ამხ. ლენინი მძიმეთ იქნა დაჭრილი რამოდენიმე დღის განმავლობაში იგი ებრძვის სიკვდილს. რუსეთისა და მთელი ქვეყნის მოწინავე მუშები სულ განაბულნი და საოცარი მღელვარებით მოელიან ამ მწვავე ბრძოლის დასასრულს და თავისუფლად სუნთქავენ მაშინ, როდესაც გაიგებენ, რომ ამხანაგ ლენინის სიცოცხლე გადარჩენილია. ლენინის სხეულიდან, ამ დღეებში, სამი წლის შემდეგ მისი დაჭრისა, ამოღებული ერთერთ ტყვიას, თანახმად ოფიციალური ოქმისა რამოდენიმე გამოჩენილი ხირურგისას, ქონდა რამოდენიმე ჩანაჭერი, რათა რაც შეიძლება მეტი ზიანი მიეყენებია. ესერების მკვლელები აშკარათ ტრაბახობდენ, რომ ზოგიერთი ტყვია, რომლებიც უნდა ესროლათ ამხ. ლენინისათვის, მოწამლული იყო „კურარეს“ შხამით. რამოდენიმე თვის განმავლობაში ესერი მკვლელები აწარმოებდენ ნამდვილ ნადირობას ტროცკიზე, ზინოვიევზე და რუსეთის რევოლიუციის სხვა ხელმძღვანელებზე. ხოლო მენშევიკებმა კი, რომელნიც სიტყვიერად პრინციპიალური წინააღმდეგნი არიან ტერორისა, მშვენიერ კარგად იცოდენ ესერი მკვლელების მოქმედებანი და ნამდვილად იმყოფებოდენ და იმყოფებიან ეხლაც მათთან სრულ პოლიტიკურ ბლოკში.

სოციალისტ რევოლიუციონერები იცავენ ბურჟუაზიულ რესტავრაციას.

ასეთია მთავარი დანაშაულობანი—მაგრამ რასაკვირველია არა ყველა—ეგრეთ-წოდებულ „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტიისა, რომელსაც პროლეტარული ტრიბუნალი გაასამართლებს მოსკოვში. ამ „ესერების“ პარტიის პროგრამას შეადგენს კაპიტალის ხელისუფლების აღდგენა. „დემოკრატიის“ სახით, ეგრეთწოდებულ „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტია, არსებითად იცავს ბურჟუაზიულ რესტავრაციის ინტერესებს. ეს ყველაზე უფრო აქტიური პარტიაა რუსეთის და მაშასადამე დღევანდელ პირობებში, საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციისა.

ვინ იცავს ესერებს?

გასაკვირველია თუ არა ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ, რომ ამ პარტიის დაცვას კისრულობენ 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალის ხელმძღვანელები? როგორ არ უნდა დაიცვან ნოსკე და შეიდემანმა, ველსმა და ებერტმა, კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგისის მკვლელობის სულის ჩამდგმელებმა, გოცი და ჩერნოვი, ვოლოდარსკისა და ურიცკის მკვლელობის სულის ჩამდგმელნი და ლენინზე თავდასხმის მომწყობნი. როგორ არ უნდა დაიცვას სოციალისტ რევოლიუციონერების პარტია, ვანდერველდემ, 1914 წელში მეფის მინისტრმა, რომელიც ომის დასაწყისში მეგობრულ მოლაპარაკებას აწარმოებდა მეფის ელჩ თავად კუდაშევთან, იმ ვანდერველდემ, რომელიც ჩამოვიდა რუსეთში კერენსკის მეფობის დროს იმპერიალისტური სისხლის ღვრისაკენ წაქეზებისათვის, იმ ვანდერველდემ, რომელმაც ხელი მოაწერა ყაჩაღურ ვერსალის ხელშეკრულებას?! როგორ არ უნდა დაიცვან რუსეთის კონტრრევოლიუციონური პარტია კეთილშობილმა წვრილმა ბურჟუებმა ყოფილ მეფის მინისტრმა ჰენდერსონმა და მომავალ მინისტრმა მაკდონალდმა, რომელნიც ანგლოზური მოთმინებით უცქერიან იმ მხეცობას, რომელსაც სჩადის „მათი“ მთავრობა კოლონიებში და რომელთაც ვერ გამონახეს ერთი სიტყვაც კი რევოლიუციონერ წინამძღოლის კონოლის მოკვლის საპროტესტოთ?! როგორ არ უნდა დაიცვან ესერების კონტრ-რევოლიუციონერები ორ ნახევარი ინტერნაციონალის ხელმძღვანელებმა, რომელთაც ამშვენებთ რუსეთის მენშევიკების მათ რიგებში ყოფნა, რომელნიც ერთგული მეგობრები არიან „სოც.-რევოლიუციონერ.“ პარტიისა, ან ლატიშელ და ფინელ „სოციალდემოკრატებმა“, რომელთაც ასი და ათასი კომუნისტის სისხლი დაღვარეს, ან სამხრეთ სლავიის „სოციალისტებმა“, რომელნიც ჟანდარმების დახმარებით იკავებენ მუშათა სახლებს, რომლებიც ეკუთვნოდათ კომუნისტებს; და როგორ არ უნდა დაიცვან ასეთი „ინტერნაციონალის“ მეთაურებმა ესერების კონტრ-რევოლიუციონერები. როგორ არ უნდა ეძიონ 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის გმირების მფარველობა ქართველ „სოციალ-დემოკრატებმა“, რომელთაც თავის ბატონობის დროს ამოხოცეს საქართველოში ათასი და ათეული ათასი რევოლიუციონერი მუშა და გლეხი.

2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის მეთაურების პროვოკაციული მოთხოვნილებანი.

2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის ხელმძღვანელებმა, იმისათვის, რომ ჩაეშალად მათთვის ეგზომ არა სასიამოვნო პროლეტარიატის გაერთიანების დასაწყისი და სათავეშივე, რომ ჩაეკლად მთლიანი პროლეტარული ფრონტის იდეა, წამოაყენეს პროვოკაციული მოთხოვნილება მიმართული საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, დაეშვათ დამცველებათ ამ 47 „სოციალისტ-რევოლიუციონერებისა“, ათი ვექილი, 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის წევრები.

რუსეთის მუშების მკვლელების დამცველებათ 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალის წინამძღოლებმა წამოაყენეს ყველაზე უფრო უსინდისო პოლიტიკანები, როგორიც მაგალითად პოლბონკური საფრანგეთის სოციალ გამყიდველთა ჯგუფიდან, მოდლიანი იტალიელ „სოციალისტებიდან“, ყოფილი მეფის მინისტრი, ბელგიელი ვოტერსი, ცნობილი ჰოლანდიელი რეფორმისტი, საბჭოთა რუსეთის მძულე უდეგესტი და სოციალისტ რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრები, ადმირალ კოლჩაკის აშკარა მომხრენი—სუხომლინი, ზენზინოვი და გურევიჩი.

რათ დასთანხმდა საბჭოთა მთავრობა

საბჭოთა მთავრობა, მიუხედავათ ამ დამცველთა ვინაობისა, მაინც დასთანხმდა დაეშვა დამცველებათ ზემო დასახელებული პირებიც კი. ბერლინის თათბირის დადგენილების თანახმად, რომელიც შეიმუშავა სამივე ინტერნაციონალის კონფერენციამ კომინტერნიც დასთანხმდა ზემო დასახელებული, დაუნდობელი მტრები პროლეტარული რევოლიუციისა, დაეშვა „სოციალისტ რევოლიუციონერთა“ პარტიის დამცველებათ. დღეს იცოდეს მთელი ქვეყნის მუშებმა, რომ კომინტერნი სჩადის ყოველივე შესაძლებლობას, რათა ჩაშალოს 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალის ხელმძღვანელთა ცდა ჩასახულ მთლიანი პროლეტარული ფრონტის წინააღმდეგ მიმართული.

რას ეუბნება კომუნისტური ინტერნაციონალი მუშებს.

მაგრამ ამასთან ერთად კომინტერნი ეუბნება მთელი ქვეყნის მუშათა კლასს: საბჭოთა რუსეთი, მსოფლიოს პირველი მუშური სახელმწიფო, წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარიატის ციხე-სიმაგრეს. აი სწორედ ამ ტომაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამბები რომელიც ხდება საბჭოთა რუსეთში, არსებითად ეხება არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს სასამართლოს პროცესი „სოციალისტ რევოლიუციონერთა“ პარტიის შესახებ, რომელიც წარმოადგენს მთავარ აქტიურ კონტრ-რევოლიუციონურ ძალას რუსეთში, აუცილებლად ეკუთვნის ასეთ ხასიათის ამბებს. ეს იქნება სასამართლო შეჯიბრება მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისა და მისი წვრილ ბურჟუაზიულ „სოციალიზმ ს“ ჯგუფის ბანაკიდან გამოსულ მოწინააღმდეგეთა შორის. მოსკოვში სასამართლოს ამ პროცესში საერთაშორისო პროლეტარიატის თვალწინ გადაიშლება მთელი ისტორია რუსეთის დიადი რევოლიუციისა ყველა იმ ცდებით, რომელსაც მსოფლიოს იმპერიალისტური რეაქცია სჩადიოდა ამ რევოლიუციის ჩასაღრჩობად და ყველა იმ ღალატისა და გამყიდველობის გამოაშკარავებით, რომელსაც მიმართავდენ 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის პარტიები პროლეტარიატის დიადი განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

კომინტერნი მიმართავს საერთაშორისო მუშათა შეგნებულ ნაწილს და განსაკუთრებით ამ მუშებს, რომელნიც ამდენხანს კიდევ ენდობიან 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალს; თვალ-ყური ადევნეთ მოსკოვის სასამართლოს პროცესს, არ გამოგრჩეთ არც ერთი წვრილმანი. მოსკოვის სასამართლო პროცესის ანგარიშები დაიბეჭდება მსოფლიოს ყველა პრესაში. ამ პროცესის დაწვრილებითი ოქმები დაიბეჭდება პროცესის დამთავრებისათანავე. თვალყური ადევნეთ იმ შეჯიბრებას, რომელიც მოხდება მოსკოვში პროლეტარულ რევოლიუციასა და წვრილ ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციის შორის.

იცოდეთ, რომ ეს არის სამსჯავრო რუსულ ნოსკესა და გერზინგებზე, პუანკარეს რუსეთელ ლაქიებზე, ადმირალ კოლჩაკისა და გენერალ დენიკინის დამქაშებზე. ეს არის სასამართლო იმ „სოციალისტებზე“, რომელნიც მთელ რიგ სახელმწიფოებში გამოვიდენ მუშათა აშკარა მკვლელებად და რომელნიც აუცილებლად გაჩნდებიან ყოველ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი აჯანყდება თავის დამონებელთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ძირს პროლეტარული რევოლიუციის მტრები.

გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს.

კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.

რადიო-დეპეშები

ჰააგის თათბირის გარშემო

ლოიდ-ჯორჯისათვის ნდობის გამოცხადება.

რომი, 27 მაისი. თემთა პალატაში ლოიდ ჯორჯმა გააკეთა ვრცელი მოხსენება გენუას კონფერენციის მუშაობისა და ჰააგის მომავალი თათბირის შესახებ. ლოიდ ჯორჯი სხვათა შორის შეჩერდა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებაზე და განაცხადა, რომ რაპალოში ხელშეკრულების დადება და საერთოდ რუსეთ-გერმანიის მოძრაობა იყო აუცილებელი, ვინაიდან გერმანიას აქვს დიდძალი მოუხმარებელი ტექნიკური საშუალებები, ხოლო რუსეთს—ნედლი მასალა. ლოიდ ჯორჯმა ამასთანავე ხაზი გაუსვა რუსეთთან შეთანხმების აუცილებლობას ევროპის ეკონომიურად აღორძინებისათვის, შემდეგ რა გენუას კონფერენციის შედეგებს ლოიდ ჯორჯმა გამოსთქვა მწუხარება ამ შედეგების მეტად უმნიშვნელო ხასიათის გამო და გამოსთქვა იმედი, რომ ჰააგის თათბირი უფრო ბედნიერი აღმოჩნდებაო. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. სიტყვები წარმოსთქვეს ასკვიტმა და თემთა პალატის სხვა დეპუტატებმა.

რომი. 27 მაისი (რადიო). კამათის შემდეგ თემთა პალატაში დაისვა საკითხი ლოიდ ჯორჯისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ. ლოიდ ჯორჯის მთავრობის ნდობის გამოცხადება მოხდა თემთა პალატის წევრთა დიდი უმრავლესობის მიერ.

ნაუენი. 27 მაისი (რადიო) მოსმენა რა ლოიდ ჯორჯის მოხსენება, თემთა პალატამ გამოუცხადა მას ნდობა 235 ხმით წინააღმდეგ 27-ისა.

წითელ რესპუბლიკებში

ნიუ იორკ—ოდესა.

ხარკოვი. 28 მაისი (რადიო). ნიუიორკიდან ჩამოვიდა ოდესაში პირველი სავაჭრო სამგზავრო გემი „ალკფ“-ის კამპანიის დატვირთული სურსათ სანოვაგით. ამ გემის ჩამოსვლით ნიუიორკსა და ოდესას შორის წესდება რეგულიარული რეისი—(მიმოსვლა)

გლეხთა კომიტეტების სრულიად რუსეთის თათბირი.

მოსკოვი. 28 მაისი (რადიო). მოსკოვში 1 ლ ივნისისთვის დანიშნულია გლეხთა ურთიერთი დახმარების კომიტეტების სრულიად რუსეთის თათბირი.

ვაჭრობა ევროპასთან.

მოსკოვი. 28 მაისი (რადიო). უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში პეტროგრადის ნავთსადგურში ჩამოვიდა 14 უცხოეთის გემი დატვირთული სურსათ სანოვაგით და ნახშირით.

სრულიად რუსეთის ქიმიკოსთა ყრილობა.

მოსკოვი. 28 მაისი (რადიო). პეტროგრადში გაიხსნა სრულიად რუსეთის ქიმიკოსთა ყრილობა, რომელსაც ესწრება 400 მდე წევრი.

თესვის კამპანია.

მოსკოვი 28 მაისი (რადიო) ადგილებიდან მოდის ცნობები კარგი მოსავლის შესახებ. უკრაინაში თესვის კამპანია მეტად ნაყოფიერათ მიმდინარეობს. სახალხო მიწად-მოქმედების კომისარიატის თესვის გეგმა შესრულებულია 140 პროც. ნიკოლაევის გუბერნიაში ანეულები მშვენიერია, საგაზაფხულო—დამაკმაყოფილებელი. ეკატერინოსლავის გუბერნიაში დიდ ძალმა წვიმებმა საუცხოვოთ იმოქმედეს პურის მოსავალზე. ჩუვაშების ოლქში ჯეჯილები თითქმის ყველგან კარგია. სიმფეროპოლის ოლქში ნათესები ფრიად დამაკმაყოფილებელია, საზამთროდ დათესილი პური თითქმის ადამიანის სიმაღლემდე გაიზარდა.

წითელი ჯვარი.

მოსკოვი. 28 მაისი (რადიო). რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოებამ დაიწყო მოლაპარაკება იტალიის წითელ ჯვრის საზოგადოებასთან უკრაინის და ყირიმის დამშეულთა დახმარების ორგანიზაციის შესახებ.

სურსათ სანოვაგე დამშეულთათვის.

მოსკოვი. 28 მაისი (რადიო) დამშეულთა დამხმარე ცენტრ. კომიტეტის სახელზე ჩამოვიდა ფინლიანდიიდან 116 ვაგონი ფქვილი. ეს ფქვილი შეძენილია საეკლესიო განძეულობის განაღდების საშუალებით. წინანდელ ვაგონების ჩათვლით სულ ჩამოსულია 250 ვაგონი ფქვილი.

საეკლესიო განძეულების გატანისთვის.

მოსკოვი 28 მაისი (რადიო). კიევის მაზრის სამღვდელოებამ საგანგებო სხდომაზედ დაადგინა მიეხმაროს საბჭოთა ხელისუფლების თავდადებულ მუშაობას დამშეულთა დახმარების საქმეში. სამღვდელოებას ადგილებზე დაევალა მიიღოს მონაწილეობა საეკლესიო განძეულობის შეგროვებაში.

ბრძოლა კალიასთან.

მოსკოვი. 28 მაისი. (რადიო) ყირიმში, სუდაკის რაიონში დასრულებულია კალიასთან ბრძოლის კამპანია. პროფესორი ლინდემანი ამ კამპანიის მონაწილე აღნიშნავს, რომ ის განცვიფრებულია საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული საქმიანობით, რომელმაც თითქმის რამოდენიმე საათში მოაწყო კალიასთან მებრძოლი ორგანიზაცია.

სრულიად უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის მეორე სესია.

მოსკოვი. 28 მაისი. რადიო. 25 მაისს გაიხსნა მოსკოვში სრულიად უკრაინის ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის მეორე [illegible] რეზოლიუციაში დადგენილია—მტკიცედ იქ ეს გატარებული ცხოვრებაში ნატურგადასახადის აკრეფა. გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის რწმუნებულმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ გზების მდგომარეობა უკრაინაზე უმჯობესდება, ტრანსპორტის განკარგულებაში ეხლა საკმაოდ არის გადასაზიდი საშუალებები. საჭიროა მხოლოდ სათბობი მასალის რეგულიარულად მოწოდება. მდინარე დნეპრის დაკლების გამო უარეს მდგომარეობაში იმყოფება წყლის ტრანსპორტი.

საგარეო ვაჭრობა.

მოსკოვი, 28 მაისი. რადიო. უკანასკნელ 8 წლის განმავლობაში არხანგელსკში პირველად ჩამოვიდა გერმანული გემი ფქვილით დატვირთული. გემი დაბრუნებისას წაიღებს ინგლისში ხე ტყეს. გემის კომანდის უმეტესობა გერმანიის კომპარტიის წევრები არიან.

კაპიტალიზმის სამეფოებში

იტალია-რუსეთის შეთანხმება.

ბორდო. 27 მაისი (რადიო). „ტანი“ აღნიშნავს, რომ გენუაში შანცერმა ერთის მხრით და ჩიჩერინმა და კრასინმა მეორე მხრით 24 მაისს ხელი მოაწერეს იტალია-რუსეთის ხელშეკრულებას. იმავე დღეს რომში ენრიკო ტოტის დაკრძალვის დროს რომის ქუჩებზე მოხდა სისხლიანი შეტაკება კომუნისტებთან.

შორეულ აღმოსავლეთში.

პარიზი. 27 მაისი: (რადიო) 19 მაისს გენუაში დადებულ იქნა ხელშეკრულება შორეულ აღმოსავლეთში აგრესიულ მოქმედებაზე უარის თქმის შესახებ. დროებით დაცულ იქნება სტატუსქვო. ბრიტანეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ, როგორც კი მდგომარეობა ნორმალურ სახეს მიიღებს, იაპონელები დაუყოვნებლივ გაიყვანებენ თავის ჯარებს აღმოსავლეთ ციმბირიდან.

მცხოვრებლების სტატისტიკა

ბორდო. 27 მაისი. (რადიო). უკანასკნელ სტატისტიკური ცნობებით რუსეთში ამ ჟამად 1000 მამაკაცზე მოდის 1299 ქალი ომამდე არსებულ 1042 წინააღმდეგ. სხვა ქვეყნებში ვხედავთ, რომ ქალები საგრძნობლად სჭარბობენ რიცხვით მამაკაცებს, უმთავრესად იმ ქვეყნებში, რომლებიც მონაწილეობდნენ უკანასკნელ ომში, სახელდობრ გერმანიაში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და იტალიაში. პირიქით, ნეიტრალურ ქვეყნებში ემჩნევა მამაკაცების სიჭარბე ქალებზე, განსაკუთრებით დანიაში, ნორვეგიაში, შვეციაში და ჰოლანდიაში.

აფეთქების მსხვერპლი.

ნიუ იორკი. უკანასკნელ ცნობებით, ქალაქში აფეთქების დროს მონასტერში დაიღუპა 1800 სერბიელი ჯარისკაცი, აფეთქებულია აგრეთვე წამლის საწყობი და სადგური. დაინგრა სკოლები და ეკლესიები.

ანგორა რუსეთის შესახებ.

ტრაპიზონი. „ხაკიმეტიმილიე“, გენუის კონფერენციის შესახებ წერილში აქებს რუსეთის დელეგაციის და განსაკუთრებით ჩიჩერინის პოზიციას. გაზეთი სწერს: ჩიჩერინი აწარმოებდა მკაცრ თავდასხმას ლოიდ ჯორჯზე, და არ უშვებდა არც ერთ საბუთს მისი გამოაშკარავებისათვის. ჩიჩერინმა მოიპოვა საყოველთაო სიმპატია. დასასრულ გაზეთი ხაზს უსვამს საბჭოთა მთავრობის რეალურ გამარჯვებას და წინასწარმეტყველობს ევროპის ბურჟუაზიული პოლიტიკის კრახს.

იეზუიტების გამოსვლა რუსეთში.

ბერლინი. „ფოს“-ის ცნობებით, ვატიკანსა და საბჭოთა მთავრობას შორის დადებულია შეთანხმება, რომლის ძალით ნება ეძლევა იეზუიტებს და ფრანცისკანტების ორდენის წევრებს რუსეთში თავისუფალი შესვლისა.

მუშათა მოძრაობა სამხრეთ უელსში.

მოსკოვი 28 მაისი. (რადიო). ახალ სამხრეთ უელსში და ვიქტორიაში მოსალოდნელია დიდი ამბები, სამუშაო ქირის შემცირების ნიადაგზე.

გაფიცვა ამერიკაში.

მოსკოვი, 28 მაისი. (რადიო). ამერიკის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა ამერიკის შახტერების გაფიცვაში ითამაშოს მედიატორული მოსამართლის როლი.

ბრატიანუ უკმაყოფილოა.

მოსკოვი 28 მაისი. (რადიო) „დეილი-მაილი“ იუწყება, რომ პუანკარემ

როდის შეიკრიბება მუშათა მსოფლიო კონგრესი?

მუშათა მსოფლიო კონგრესი აუცილებლათ **შესდგება.** კითხვა მხოლოთ იმაშია, როდის მოხდება ეს? მსოფლიო კაპიტალის თავხედური შემოტევა, რომელიც სწარმოებს მთელ ხაზზე ყველა ქვეყნებში და ეხება ევროპისა და ამერიკის ყველა ან თითქმის ყველა მუშების ინტერესებს, კატეგორიულათ აიძულებს საერთაშორისო პროლეტარიატს შეკავშირდეს ამ შემოტევის მოსაგერიებლათ. პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შექმნის გზაზე მუშათა მსოფლიო კონგრესი იქნება ერთი ეტაპთაგანი. ასეთი ყრილობის იდეამ უკვე ახლაც დაიპყრო მუშათა ფართო მასები. კითხვა ეხება მხოლოთ იმას, მოხერხდება თუ არა ახლავე გატეხილ იქნას წინააღმდეგობა მეორე და მეორე-ნახევარი ინტერნაციონალის ბელადებისა, რომლებიც საბოტაჟს უწევიან პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ, თუ ეს საბოტაჟნიკები მოახერხებენ ხელი შეუშალონ მსოფლიო კონგრესის მოწვევას და მით „მუშაობა“ გაუადვილონ მთელ ფრონტზე შეტევაზე გადმოსულ კაპიტალს.

კომინტერნმა გადასწყვიტა აუცილებლათ მიიღოს პასუხი ამ კითხვაზე 21 მაისს, ეგრედ წოდებული ცხრა წევრისაგან შემდგარი კომისიის სხდომაზე, იმ კომისიის, რომელიც შეადგინა სამი ინტერნაციონალის კონფერენციამ ბერლინში.

დიდი ხანი არ არის რაც კომინტერნი აწარმოებს მოლაპარაკებას მეორე და მეორე-ნახევარ ინტერნაციონალთან. მაგრამ გაკვეთილები ამ მოლაპარაკების უკვე ახლავე დიდმნიშვნელოვანია. კომინტერნის მხრივ კითხვის გარკვევით და პირდაპირ დაყენებამ აიძულა მეორე ინტერნაციონალის ბელადები ნიღაბი ჩამოეხსნათ. ყოველ ჩაკვირვებულ მუშას შეუძლია ახლა დარწმუნდეს იმაში, თუ ვის შეაქვს მართლა რასკოლი მუშათა მოძრაობაში, ვინ არღვევს მუშათა ერთიან ფრონტს. ყოველ ცოტათი შეგნებულ მუშას შეუძლია გამოიყვანოს დასკვნა იმ ფაქტიდან, რომ მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა ბერლინში დემონსტრატიულათ უარი განაცხადეს ვერსალის ავაზაკური ხელშეკრულების გადასინჯვაზე, ხოლო მეორე ნახევარი ინტერნაციონალის ბელადებმა კვერი დაუკრეს ამაზე თავის მოძმეებს მეორე ინტერნაციონალიდან. პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის ყოველი პატიოსანი მომხრე მუშამ, რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, უნდა გაიგოს, რომ, თუ მეორე ინტერნაციონალი რამოდენიმე კვირის განმავლობაში—სწორედ მაშინ როდესაც გენუის კონფერენცია მიმდინარეობდა—შეგნებულად აჭიანურებდა ცხრა წევრისაგან შემდგარი კომისიის სხდომის მოწვევას, უკვე ერთი ეს ფაქტი ცხად ჰყოფს, რომ მეორე ინტერნაციონალის ბელადები სიამოვნებით ასრულებდნენ ბურჟუაზიის დავალებას.

მაგრამ ახლა საჭიროა ითქვას უკანასკნელი სიტყვა. დრო არის გავუკეთოთ ჯამი პროლეტარიატის ერთიანი ფრონტისათვის დღემდე წარმოებულ ბრძოლას. **მეორე და მეორე ნახევარი ინტერნაციონალის ბელადებს ჩვენ ვუყენებთ კითხვას პირდაპირ და ულტიმატიურათ: ხართ თუ არა თქვენ თანახმა უახლოეს მომავალში მოიწვიოთ მუშათა მსოფლიო კონგრესი, რომ დაეხმაროთ მუშებს შეკავშირდნენ შემოტევაზე გადმოსული კაპიტალის წინააღმდეგ? თუ არ ხართ თანახმა—ჩვენ აღარაფერი საქმე აღარ გვაქვს ცხრა წევრისაგან შემდგარ კომისიასთან, გამოვიყვანთ იქიდან ჩვენ წარმომადგენლებს და გავაგრძელებთ ბრძოლას პროლეტარიატის ერთიანი ფრონტისთვის უთქვენოთ და თქვენს წინააღმდეგ.** ჩვენ ხელს არ დავიფარებთ ფიქციას: თუ თქვენ ცდილობთ ცხრა წევრისაგან შემდგარი კომისია კომედიათ აქციოთ, ჩვენ ამის ნებას არ მოგცემთ.

ამ კომისიის არსებობის გამართლება მხოლოთ ერთ შემთხვევაში შეიძლება: თუ მეორე და მეორე ნახევარი ინტერნაციონალი ნამდვილათ მზად არიან დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშათა მსოფლიო კონგრესის მოწვევას. მხოლოთ ამ მიზნისათვის იქნა არჩეული ეს კომისია, მხოლოთ ასე უყურებდა მას კომინტერნი. ღრმათ სცდებიან ჩვენი ფრანგი მეგობრები—კომუნისტები, როდესაც მათ ჰგონიათ, რომ ამ კომისიის მოქმედება თითქოს როგორმე ნიშნავდეს „ორგანიულ კავშირის“ მომზადებას კომინტერნსა და მეორე და მეორე ნახევარი ინტერნაციონალს შორის. არავითარ ორგანიულ კავშირზე კომუნისტებსა და რეფორმისტებს შორის ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ ეს გარემოება ვერ შეგვიშლის ხელს ვიმზადოთ ერთიანი ფრონტის შექმნა იმ მუშებთან, რომლებიც ჯერ კიდევ მისდევენ მეორე და მეორე ნახევარ ინტერნაციონალს და აგრეთვე ანარქისტებს, სინდიკალისტებს და თვით იმ მუშებთან, რომლებიც შედიან ქრისტიანულ კავშირებში ან უპარტიო ორგანიზაციებში, რამდენადაც ეს მუშები თანახმანი არიან იბრძოლონ კაპიტალის წინააღმდეგ. მუშათა ასეთი შეკავშირების კამპანია კომინტერნმა დაიწყო და **ის მანამდი არ შესწყვეტს მას, ხანამ არ მიაღწევს მიზანს.**

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ კომინტერნი ყოველ შემთხვევაში დასტოვებს თავის წარმომადგენლებს კომისიაში, მაგალითად იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ამ დატოვებით ის დაფარავდა მეორე ინტერნაციონალის საბოტაჟს.

ამ კომისიის ბედ-იღბალი ჩვენ ხელშია—ვეუბნებით ჩვენ მეორე და მეორე ნახევარი ინტერნაციონალის ბელადებს. მუშათა მსოფლიო კონგრესის აწი კიდევ ხელის შეშლას კომინტერნი არ დაუშვებს. **ჰო თუ არა? ხართ თუ არა** თქვენ თანახმა ხელი შეუწყოთ მუშათა მსოფლიო კონგრესის მოწვევას, რომელიც სერიოზულათ გაადვილებდა პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შექმნას? **ჰო თუ არა?** აქ ორნაირი პასუხი არ შეიძლება. თუ თქვენ გვიპასუხებთ „არა“, **მთელ პასუხისმგებლობას იღებთ თქვენ თავზე** და ბერლინის თათბირზე ამორჩეული ცხრა წევრისაგან შემდგარი კომისიაც დაიშლება.

ასე ლაპარაკობს კომინტერნი, როგორც ერთი მთელი. ხოლო რუსეთის კომპარტიის სახელით კი ჩვენ ამას გარდა კიდევ შემდეგს ვუცხადებთ მეორე და მეორე ნახევარ ინტერნაციონალს:

— ერთი მუხლთაგანი იმ პლატფორმის, რომელიც იქნა შემუშავებული სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე ბერლინში, შეიცავს მოთხოვნას საბჭოთა რუსეთის დაცვისა და მისთვის მხარი დაჭერის შესახებ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მეორე და მეორე ნახევარი ინტერნაციონალის ბელადები თავის სურვილის წინააღმდეგ დასთანხმდნენ ამ მოთხოვნაზე, დასთანხმდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ამაზე აიძულებენ მათ მათივე მიმდევარი მუშები, რომლებიც მართლა, პატიოსნურათ, პროლეტარულათ თანაუგრძნობენ საბჭოთა რუსეთს. და ჩვენ აშკარათ ვუცხადებთ დღეს ვანდერველდე-შეიდემან-მაკდონალდებს, რომ სრულიადაც არ ვართ მოწადინებული სიტყვაში ჩავიჭიროთ ისინი. ჩვენ სრულიად მზად ვართ, რომ ამ შეთანხმების პლატფორმიდან ამოვშალოთ მოთხოვნა საბჭოთა რუსეთისათვის მხარის დაჭერის შესახებ და იქ დატოვებულ იქნას მხოლოდ მოთხოვნები რვა საათის სამუშაო დღის, უმუშევრობის და კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და სხვ. საბჭოთა რუსეთი გასძლებს როგორმე ვანდერველდეს, შეიდემანის, ველსის და თვით ბაუერის და ადლერის დაუხმარებლადაც. მაშ გვიშველეთ არა ჩვენ, უშველეთ არა საბჭოთა რუსეთს, რომელიც თვითონ უშველის როგორმე თავის თავს თქვენ დაუხმარებლათ, არამედ უშველეთ იმ მუშებს, რომელთა „წარმომადგენლები“ თქვენა ხართ, თქვენი სიტყვით! ანდა, ყოველ შემთხვევაში, ხელს მაინც ნუ შეუშლით ამ მუშათა მასებს, თვითონ უშველონ თავს მსოფლიო კაპიტალის შემოტევისაგან!

პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის ტაქტიკა ნაკარნახევია არა რომელიმე ერთი ქვეყნის ინტერესებით, თუ გინდ ეს ქვეყანა იყოს პირველი ქვეყნიერებაზე, პროლეტარული რესპუბლიკა. არა, პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის ტაქტიკა არის ნაკარნახევი ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ფართო მასების ინტერესებით. და სწორედ ამიტომ ჩვენ სრული თანახმა ვართ, დავკმაყოფილდეთ პლატფორმით, რომელიც შეიცავს მხოლოდ ისეთ მოთხოვნებს, როგორიც არიან: ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ, დაცვა რვა საათის სამუშაო დღის და სხვ. ჩვენ არ ვხევთ ბერლინის შეთანხმებას იმიტომ, რომ მეორე და მეორე-ნახევარი ინტერნაციონალის ბელადები უარს ამბობენ დღეს თავის დაპირებაზე საბჭოთა რუსეთის დახმარების შესახებ.

ჩვენ არასოდეს არ ვუწევდით სერიოზულად ანგარიშს ამ დაპირებას და არავითარ იმედებს მასზე არ ვამყარებდით. მაგრამ ჩვენ აუცილებლად ვსწყვეტთ კავშირს ცხრა წევრისაგან შემდგარ კომისიასთან და მივმართავთ მეორე და მეორე-ნახევარი ინტერნაციონალის მიმდევარ მუშებს, თუ ახლაც, ამდენი ხნის საბოტაჟისა და გაჭიანურების შემდეგ, მეორე და მეორე-ნახევარი ინტერნაციონალები 21 მაისის სხდომაზე ხელს შეუშლიან მუშათა მსოფლიო კონგრესის მოწვევას ან შეეცდებიან მის უვადოთ გადადებას...

მაგრამ ვთქვათ, რომ ბერლინში ამორჩეული კომისია, ჩვენი მოწინააღმდეგეთა საბოტაჟის გამო, *) მართლაც დაიშალა, იქნება თუ არა ეს იმის დამამტკიცებელი, რომ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა შეცდომა არის?

ასე ფიქრი მხოლოდ პოლიტიკურ ბალღებს თუ შეუძლიათ.

სამი ინტერნაციონალის კონფერენცია ბერლინში არის მხოლოდ ერთი ეპიზოდი ერთიანი ფრონტისთვის ბრძოლაში. ამ კონფერენციის მიერ ამორჩეული კომისია ცხრა კაცისაგან, რომელიც, შეიძლება ვერავითარი სერიოზული საქმის შესრულებას ვერ მოახერხებს, არის მხოლოდ გარდამავალი წვრილმანი რამ ერთიანი ფრონტისთვის ბრძოლაში. გასამკეცებული ენერგიით შევუდგებით ჩვენ მეორე და მეორე ნახევარი ინტერნაციონალის ბელადების მხილებას და გაათკეცებული ენერგიით გავაგრძელებთ მოწოდებას მუშებისადმი (რომლებიც მისდევენ ამ ინტერნაციონალებს) ერთიანი ფრონტის შესაქმნელათ მათი ბელადების დაუხმარებლად და მათ წინააღმდეგ. ხოლო განვითარება კლასთა ბრძოლის, რომელიც რაც დრო მიდის სულ უფრო და უფრო მწვავდება, შეეცდება, რომ ცხადჰყოს მუშათა ფართო მასების თვალში ჩვენი სიმართლე და აუჯიკავოს მათ პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შესაქმნელათ, მიუხედავათ სოციალდემოკრატიული ბელადების საბოტაჟისა.

ჩვენ ერთი წუთითაც არ გვტყუვდებით მეორე და მეორე ნახევარი ინტერნაციონალის ბელადების განძრახვების შესახებ. მხოლოთ გულუბრყვილო პოლიტიკოსებს და უსინდისოებს შეუძლიათ საქმე ისე წარმოიდგინონ, თითქოს ერთიანი ფრონტის პოლიტიკა ნიშნავდეს კომინტერნის მორიგების ზეიმს მეორე და მეორე ნახევარ ინტერნაციონალთან. საფრანგეთის კომპარტიის ის წევრები, რომლებიც იქნამდი მიდიოდნენ, რომ ერთიანი ფრონტის ტაქტიკას სახავდენ თითქმის მინისტერიალიზმათ (როგორც ეს სიტყვა ესმოდა მილიერანს), ვიმედოვნებ, თვითონ არიან დარცხვენილი დღეს თავის, რბილად რომ ვსთქვათ, სიმპატიისთვის. ჩვენ ერთი წამითაც არ შეგვცვლია ეჭვი იმაში, რომ მეორე ინტერნაციონალის ბელადები ძველებურათ ღალატობენ მუშებს, რომლებიც თხოულობენ ბურჟუაზიისაგან პურს და სამუშევარს, მუშებისა და მოსამსახურეების დახვრეტამ ახლო ხანათ ბერლინში, კიდევ დაგვანახვა, თუ რას უნდა მოველოდეთ სოციალდემოკრატებისაგან. ხოლო ამხ. ვიქტორ კინგისეპის ჯალათურმა მოკვლამ ესტონიის „დემოკრატიული“ მთავრობის მიერ, რომელიც ახლო დამოკიდებულებაშია მენშევიკებთან და მეორე ინტერნაციონალთან, მთელი სიცხადით გამოააშკარავა მეორე ინტერნაციონალის ბელადების პოლიტიკა

მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც ვამბობთ: მზათა ვართ ვაწარმოოთ მოლაპარაკება თვით მეორე ინტერნაციონალის ბელადებთან, ოღონდ გავაადვილოთ მუშა კომუნისტების დაახლოება იმ მუშებთან, რომლებიც სოციალდემოკრატებს მისდევებიან—დაახლოება ლუკმა პურისთვის ბრძოლის საწარმოებლათ თავხედობით დამთვრალი კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომლებმაც არ იციან რაარის თავის შეკავება მუშებთან ბრძოლაში.

კომინტერნი **ულტიმატიურათ** მოითხოვს პასუხს მეორე და მეორე ნახევარი ინტერნაციონალისაგან: აწიც წინ აღუდგებიან თუ არა ისინი მუშათა მსოფლიო კონგრესის მოწვევას? მოგვეცით გარკვეული პასუხი წაყენებულ კითხვებზე..

თუ თქვენ გააგრძელებთ ერთიანი ფრონტის საბოტაჟს ამ შემთხვევაში თავზე უნდა აიღოთ პასუხისმგებლობა ამისთვის.

ხოლო ერთიანი პროლეტარული ფრონტი მაინც მოეწყობა აუცილებლათ, მსოფლიო მუშათა კონგრესი მაინც **უეჭველათ** შესდგება.

გ. ზინოვიევი.

---

*) ამ მიზეზით კომინტერნის წარმომადგენლებმა უკვე დასტოვეს კომისია, როგორც ამის შესახებ გვაცნობებს დღეს ჩვენ გაზეთში მოთავსებული რადიო მოსკოვიდან.

რედ.

ლი
მინიაზე
ბრატიანუს მისცა
პირება, რომ თუ რუს
გამოუწვეველ მიზეზით თავს

ადგილი ექნება, საფრანგეთი მიაწოდებს მას სამხედრო მასალებს ტეხნიკურ დახმარებას და ფულებს. გაზეთი ახასიათებს ამ დაპირებას როგორც გენუის კონფერენციის ხელშეკრულების დარღვევას თავდასხმის შესახებ.

მონარქიული აჯანყება.

მოსკოვი. 28 მაისი. (რადიო). მიუნხენში იფეთქა მონარქიულმა აჯანყებამ. მოკლულია მდივანი დამოუკიდებელ ესკერის, რომელიც წინად მოჰკლეს. მონარქიული გაზეთები მოითხოვენ ესკერის მკვლელების განთავისუფლებას.

ჩაძირული გემი.

მოსკოვი. 28 მაისი. (რადიო). განოვერის ახლო ჩაძირა გემი „ეშმენი" დატვირთული ოქროთი და ვერცხლით, რომელიც უდრიდა მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტს.

სკირმუნტის შეურაცხყოფა

მოსკოვი. 28 მაისი. (რადიო). პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სკირმუნტმა მიიღო შეურაცხყოფა ვენაში უკრაინელისაგან, რომელმაც მას ბრალი დასდვა უკრაინის ძალით შევიწროვებაში.

გრ
არ იქნეს
ნაბიჯით გადქა
ზისისაკენ. საფრანგეთი
თავის პოლიტიკით სახელმწიფ

ყავს კატასტროფამდე: კონფერენციის ჩაშლა გულისხმობს ახალ სამხედრო ინტერვენციის ტენდენციას, მაგრამ ნუ დაავიწყდებათ, რომ წითელი არმია ღირსეულად გასცემს პასუხს ინტერვენციონისტებს.

იტალიის ამბები.

მოსკოვი 28 მაისი (რადიო) 24 მაისს რომში ომის წლის თავის დღესასწაულზე მოხდა იარაღით შეტაკება ფაშისტებსა და მუშებს შორის. პოლიციამ ასტეხა სროლა და დააპატიმრა მუშები. მოკლულია 1, 50 მეტი დაჭრილია. შრომის კონფედერაციამ გამოაცხადა საერთო გაფიცვა, არ მუშაობს ფოსტა და ტრამვაი. სავაჭროები და ფაბრიკები დაკეტილია გაზეთები არ გამოსულა.

ხომხების დაპატიმრება.

მოსკოვი 25 მაისი (რადიო) ფრანგები გაძლიერებით აპატიმრებენ სომხებს სირიაში.

ცხრათა კომისიაში

მოსკოვი. 28 მაისი, ცხრათა კომისიის სხდომა ბერლინში მაისის 23-ს გახსნა ადლერმა. ხმის უმრავლესობით, კომუნისტების წინააღმდეგ გადასწყდა არ იქნეს დაშვებული მუშათა დელეგაცია, რომელიც ითხოვდა კომისიას მოესმინა მისი განცხადება.

მაკდონალდმა გამოაქვეყნა მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ კელნში მიღებული დეკლარაცია, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს მე-2 ინტერნაციონალის გაუწყვეტელ სოლიდარობას მთლიან პროლეტარულ ფრონტის იდეისადმი, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს რომ მე 3 ინტერნაციონალმა არ შეასრულა ბერლინის კონფერენციის მიღებული ვალდებულებანი.

საღამოს სხდომაზე რადეკმა გამოაქვეყნა მესამე ინტერნაციონალის დეკლარაცია, რომელიც აცხადებს, რომ მე-2 ინტერნაციონალი, ეწინააღმდეგებოდა რა აპრილის დამცველებს და მსოფლიო მუშათა კონგრესის მოწვევას, სცდილობდა ამ თ დაეცვა გენუას კონფერენცია საერთაშორისო პროლეტარიატის ზეგავლენისაგან და აშკარად მოქმედებდა კაპიტალისტურ მთავრობებთან ერთად შეთანხმებულად, შემდეგ დეკლარაცია აღნიშნავს რომ მიუხედავად სამივე ინტერნაციონალის ბერლინის კონფერენციის დადგენილებისა გენუას კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთისათვის მხარის დაჭერის შესახებ მე 2 ინტ. ლიდერებმა არავითარი დახმარება მას კი არ გაუწია, არამედ პირიქით გაილაშქრა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და აწარმოებდა საბჭოთა რუსეთისათვის საწინააღმდეგო კამპანიას, შვეციის სოციალ-დემოკრატიის პარტიის თავმჯდომარე ბრანტინგი, გენუას კონფერენციის წევრი აწარმოებდა საბჭოთა დელეგაციისათვის აშკარა მტრულ პოლიტიკას, რასაც ამოწმებს ავსტრიის სოციალ-დემოკრატების ორგანოს „არბეიტერ ცაიტუნგის" აღფრთოვანება, რადეკი ამტკიცებს, რომ კომინტერნმა აასრულა ბერლინის წინასწარი პირობები, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ მან მისცა საშუალება ესერების დასაცავად არა მარტო ვანდერველდეს, არამედ ვენ-ს ინტერნაციონალის ხუთ სხვა წევრსაც.

ატარებდა რა მთლიანი ფრონტის პოლიტიკას, კომინტერნს სურდა დაეცვა მუშათა კლასის საერთო ინტერესები კაპიტალის თავდასხმისაგან, კომპარტიის პროფკავშირების მუშაობაში არავითარი განხეთქილება არ შეუტანია. კომინტერნის დელეგაცია თანახმაა გამართოს მოლაპარაკება პროფკავშირების ამსტერდამის ინტერნაციონალთან, [illegible] მოლაპარაკებაში უნდა მიიღონ მონაწილეობა. (დამახინჯებულია). იმ შემთხვევაში თუ მე 2 ინტერნაციონალი არ იქნება თანახმა, რომ დაუყოვნებლივ იქნეს მოწვეული საერთაშორისო მუშათა კონგრესი კომინტერნის დელეგაცია იძულებული იქნება გამოვიდეს „ცხრათა კომისიის" შემადგენლობიდან და დამოუკიდებლად შეუდგეს მთლიანი პროლეტარულ ფრონტის განხორციელებას და არ მიიღებს მხედველობაში მე 2 ინტერნაციონალის ლიდერებს.

ადლერმა გამოაქვეყნა ვენის ინტერნაციონალის დეკლარაცია, რომელიც ხაზს უსვამს ვენის ინტერნაციონალის გულწრფელ მისწრაფებას პროლეტარულ მთლიან ფრონტის იდეისადმი. ადლერი აღნიშნავს, რომ მე 2 ინტერნაციონალი მთლიან ფრონტის საკითხზე მუშაობს ვენის ინტერნაციონალთან შეთანხმებით.

ადლერის სიტყვამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი.

სხდომის დასასრულში რადეკმა განაცხადა, რომ ვინაიდან მე-2 ინტერნაციონალი წინააღმდეგობას უწევს მსოფლიო პროლეტარულ კონგრესის მოწვევის საკითხს კომინტერნის დელეგაცია გამოდის ცხრათა კომისიის შემადგენლობიდან. რადეკის ამ განცხადების შემდეგ კომისიის სხდომა დაიხურა.

ესერების პროცესის გარშემო

მოსკოვი. 28 მაისი (რადიო) მემარჯვენე ესერების პროცესის შესახებ მომხდარ უმაღლეს რევტრიბუნალის სასამართლო კომისიის სხდომა დადგენილი იქნა წინასწარი გამოძიება ამ საქმის შესახებ დამთავრებულად ჩაითვალოს. საბრალმდებლო ოქმი დამტკიცებულია და ჩაბარდება ყველა ბრალდებულთ. მიღებულია აგრეთვე დამცველთა სია. მათ რიცხვში შედიან ვანდერველდე, როზენფელდი, ლიბკნეხტი და 15 ადგილობრივი დამცველი.

— კიევის პროლეტარიატი კრებებზე და მიტინგებზე მოითხოვს უმაღლეს რევტრიბუნალიდან ესერების სასტიკ დასჯას. წითელ არმიელთა ნაწილები მხარს უჭერენ მუშების მოთხოვნილებას და სამარცხვინო ბოძზედ აკრავენ ესერების ბანდიტურ ჯგუფის დამცველებს.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია

მოსკოვი, 28 მაისი (რადიო) სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის მესამე სესიის საღამოს საბოლოო სხდომაზე 26 მაისს ამხ. კალინინმა სთქვა: „წინა სესიებს გამოჰქონდათ საერთო დადგენილებანი და დირექტივები. ეხლა სესიამ მიიღო განსაზღვრული დამუშავებული კანონები. ამ სესიის განმავლობაში განსაკუთრებით გამოაშკარავდა ადგილების და სხვა და სხვა კომისიების მუშაობა. ჩვენ გვაქვს ეხლა 8 თვის დროებითი ზავი, პირველი ხუთი წლის ბრძოლის განმავლობაში, ამიტომ ეხლა მუშები და გლეხები მოწოდებული არიან უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა აღმშენებლობაში. საბჭოთა ხელისუფლების [illegible] დეკლარატიული მნიშვნელობა ჰქონდათ. თუ ისინი არ შეესაბამებიან მომენტს (გამოტოვებულია)... შეწყვეტილი ფიზიკური ბრძოლა შეიცვალა უფრო რთულ და ძნელ ბრძოლით. ამისათვის მშრომელთა მიზნების განხორციელება სულ სხვა ფორმებს იღებს. ეხლა საჭიროა თვით მასის შეგნებაში შეტანილი იყოს კანონიერების იდეა, საჭიროა ცხოვრებაში გაყვანილი იყოს ეს კანონიერება და კანონიერების აპარატი წარმოდგენილი იყოს მუშების და გლეხების მისწრაფებათა განმახორციელებელ აპარატად. წინათ ჩვენ ხშირად გვიშლიდა ხელს კანონიერების უქონლობა, ეხლა ჩვენ გადავდგით ნაბიჯი კანონიერების დამკვიდრებისაკენ და ცხადია, რომ საბჭოთა რუსეთში ის [illegible]

კავკასიის ფედერაცია

საქართველო

ბის აღდგენა ფოთიდან იტ ან: 8 და 13 მაისს ფოთის ნყოფილების მიერ შეკეთების ამუშავდა ორი ხე-ტყის სა ქარხანა—ერთი თითონ ფო ყოფილი სიორიძის და მეორე რე დ კალეში ყოფილი ალექსანდრია. არც ერთ ქარხანას არაფერი არ აკლია; მათი წარმოება წარმატებით მიდის.

აბასთუმანის კურორტი ახალციხიდან იტყობინებიან: აბასთუმნის კურორტი, რომელსაც აქვს მსოფლიო მნიშვნელობა, მოითხოვს სერიოზულ ყურადღების მიქცევას. ოდესღაც აყვავებული კუთხე დღეს, 1918 წ. ოსმალების შემოსევის შემდეგ წარმოადგენს ნახევრად დაქცეულ მხარეს. აგარაკების ნაწილი დამწვარია, დანარჩენი გაძარცული და დანგრეულია—ჩამოღებულია კარები, ფანჯრები, აღებულია იატაკი და სხვა. გადარჩენილი სახლები მოუვლელობის გამო თანდათან ინგრევა. განსაკუთრებით სამწუხარო სურათს წარმოადგენს მოუთავებელი ვეებერთელა შენობა, რომელიც ააგო ტუბერკულიოზთან მებრძოლ საზოგადოებამ, საუკეთესო ადგილზე და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით აშენებული შენობა სდგას მოუთავებელი. ამ შენობის ბედი ამარად შიგდება და ყოველივე ძალ-ღონის არ გამოძებნა მის მოსათავებლად მეტის მეტად მიზან შეუწონელია. გაცილებით უფრო [illegible] იქნება მოთავდეს მისი აშენება ვიდრე შეკეთდეს 20—30 წვრილი აგარაკი. უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში რომ სანატორიუმის შენობა მისი მოთავების შემდეგ მოგვცემს 200 ოთახამდე ყოველგვარი საჭიროებებით. უნდა გადაწყდეს აგარაკების ბედი და მიეცეს საშუალება კერძო მეპატრონეებს შეაკეთონ ისინი და ამ ნაირად გადაარჩინონ შენობები შეუწყვეტელ ნგრევას. მთელ საბჭოთა ფედერაციაში გაბნეული მილიონი ტუბერკულოზიანი ავადმყოფების ინტერესები მოითხოვს მსოფლიო მნიშვნელობის კურორტის, აბასთუმნის აღდგენას.

ბანდიტიზმის ლიკვიდაცია. ახალციხიდან იტყობინებიან: ბანდიტიზმი, რომელმაც ერთ ხანზე მაზრაში მიიღო ფართო ხასიათი, აღმასკომის და სამაზრო მილიციის მიერ მიღებული ენერგიული ზომების შემდეგ, თითქმის მოისპო. ბორჯომ-ახალციხის გზაზე ორჯერ თავხედურ დაცემის შემდეგ ბანდიტებს მეთაურებს წინადადება მიეცათ დანებებოდენ ხელისუფლებას თავისი ნებით განსაზღვრულ ვადაში, პირველად გამოცხადდა მაზრაში ცნობილი ბანდიტი კარა. მისი დანებება მოხდა საზეიმოთ მთელი რაიონის გლეხების თანადასწრებით. ბანდიტის თავისი ნებით გამოცხადების და აღმასკომის ამნისტიის ფაქტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ერთი კვირის განმავლობაში კარას მიერ იარაღის დაყრის შემდეგ იმავე რაიონში თავის ნებით გამოცხადდა 4 ბანდიტი, რომლებმაც დასდვეს სიტყვა, რომ თითონ ისინი იღებდენ თავის თავზე რაიონის დაცვას შესაძლებელ თავდასხმისაგან. მართლაც მთელი თვის განმავლობაში მაზრაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ყაჩაღობისა. ანალოგიური ზომები მიღებულია სხვა რაიონებშიდაც.

ცხენის ქარხნები და სოფლის მეურნეობა. ახალქალაქის მაზრა დიდი ხანია, რაც სახელგანთქმულია თავის ცხენების ქარხნებით. ეს ქარხნები უმთავრესად ეკუთვნოდენ დუხობორებს, რომლებიც გადმოსახლდნენ აქ ჯერ კიდევ ორმოციან წლებში და რომლებმაც, თავის შეუდრეკელი ენერგიის საშუალებით, შექმნეს აქ აყვავებული მეურნეობა. დუხობორების სოფლები სულ არის 12. შინაური საქონელი და ცხენები ყველა საუკეთესო ჯიშისაა. არის ზოგიერთები საქონელი ისეთი, რომ მასი გიგანტიური წონა ადის 50 ფუთამდე. რძის მომცემი საქონელი სამაგალითოა: დღეში თითო აწველის ერთ-ნახევარ ვედროს. თავის დროს დუხობორები აწვდიდა მთელ კავკასიას მოსაშენებელ ჯიშიან ცხენებს. ამ ჟამად ეს მეურნეობა განადგურებულია. დუხობორების მეურნეობა პირველად დაზიანდა 1918 წ. ოსმალებისაგან, რომლებმაც გარეკეს 300 თავი საუკეთესო საქონელი და ცხენები. აგრეთვე მენშევიკურმა მთავრობამ წაასხა 600 საუკეთესო ცხენი, რომლებიც დაიღუპნენ ბაკურიანის უღელტეხილზე გადასვლის დროს.

მეურნეობის განადგურებას ძალიან შეუწყო ხელი დუხობორების ცენტრალურ კომიტეტის მიერ შედგენილმა რელიგიურმა კომუნებმა, რომლებიც მოწყობილი იყვნენ არა კომუნალურ საფუძვლებზე, არამედ „ზედა" და „ქვედა ფენებზე"; ამასთან მთელი წლის განმავლობაში „ზედაფენები" ეწეოდენ თავის ინტერესების სასარგებლოდ კომუნის შრომის ექსპლოატაციას. უკანასკნელი დაზიანება ამ მეურნეობამ [illegible] დუხობორების რუსეთში გადასახლების განზრახვამ. გასავალი მოსკოვში გაგზავნილ კაცებზე, მთელი სოფლის გაშენება კუბანის ოლქში და სხვა ხარჯებმა სრულიად მოსტეხეს ეს საუცხოვო მეურნეობა. ამ ჟამად თავის ჩვეულებრივი ენერგიით მიყვეს ხელი დუხობორებმა თავიანთ მეურნეობის აღდგენას. ძალიან საჭიროა აგრონომიის მცოდნე პირები და თავისუფალი მიწა აღნიშნულ მეურნეობის ძვირფას დარგებისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის.

სამხრეთ-ოსეთში

ქ. ცხინვალში დასრულდა ოსეთის ავტონომიურ ოლქის საბჭოთა მუშაკებისა და მოსამსახურეების კავშირის პირველი ყრილობა. ყრილობის პრეზიდიუმში გავიდნენ: ამხ. ზავადინი—(თავმჯდომარე), გაძაევი, ხურუმოვი, აბაევი (მდივანი) და ცხოვრებოვი. ყრილობამ მოისმინა მოხსენებები: სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. სანაკოევისა მიმდინარე მომენტის შესახებ და ამხ. ზავადინის პროფკავშირების ამოცანების შესახებ ახალ პირობებში და სხვ. საბჭოთა მუშაკების საოლქო გამგეობაში არჩეული არიან: ამხ. გასიევი, პაპიევი, გაზაევი, აბაევი, ჯატიევი, ილიევი და ხურუმოვი.

აჭარა.

ჩაის კრეფა. ჩაქვიდან იტყობინებიან, რომ ჩაქვის სახალხო მამულში ჩაის კრეფა მიმდინარეობს სავსებით წარმატებით. 20 მაისამდი შეგროვებულია 60,000 გირ. ჩაის ფოთოლი. კერძო პლანტაციებიდან შემოვიდა 43,000 გირ. ჩაის მოსავალი რამოდენიმედ გვიანდება ცივი ამინდით და უწვიმობით.

აზერბაიჯანი

კალიის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციის მოქმედება. 20 მაისისათვის კუმინსკის რაიონში. დივიჩინის ადგილებში მოქმედებდა 47 აპარატი, დამუშავებულია 60 დესეტინა. მუშაობს აგრეთვე 113 გუთანი. დახნულია 80 დესეტ. 18 მაისს მოქმედებდა 31 აპარატი, მოშხაპუნებით დამუშავებულია 40 დეს., დახნულია 45 დეს. და მუშაობს 103 გუთანი. კუსარის ადგილებში 18 მაისს მუშაობდა 48 აპარატი. წამლის მოშხაპუნებით დამუშავებულია 60 დეს., დახნულია 106 დეს, მუშაობს 62 გუთანი.

ველიარევარის რაიონში 17 და 18 მაისს დამუშავებულია მოშხაპუნებით 1,095 დეს., გაყვანილია თხრილები ოთხ-ნახევარი ვერსი., გაწმენდილია ძველები 10 ვერსი, მოსპობილ კალიის რიცხვის გამონგარიშება შეუძლებელია კრასნოკონტორსკის ადგილებში კალიამ დაიწყო ფრთების გამოსხმა.

მუღანის რაიონში. 16 და 17 მაისს მუშაობდა 3,500 კაცი. სპარსეთის კალიის მოწოლა შეჩერებულია მინდვრის მცენარეულობისა და სპარსეთის მუღანის დაწვით. კალია იღუპება (ცეცხლში, რომელსაც არ შეუძლია გაიქცეს), კალიის მოწოლა კარიაგინის მაზრიდან შეკავებულია ხოლადსკის წყლის არხით. არხში დაკავებულ კალიით 4 დღის განმავლობაში გავსებულ იქნა ორმოები 110 კუბ საჟ. გარემოცულობით.

სასურსათო გადასახადი. აგდამის მაზრაში სიების შედგენა წარმატებით მიმდინარეობს და მალე დასრულდება სასურსათო გადასახადის კომისიის დადგენილებით ეს მაზრა მიაწერეს მეექვსე კატეგორიას ე. ი. მისი მოსავალი განზრახულია 60—70 ფუთი დესეტინიდან და სასურსათო გადასახადი 4 ფუთი დესეტინიდან. ბაქოს მაზრაში სასურსათო გადასახადის სიების შედგენა წარმატებით მიდის. კალინის, მაიუტაგინის და კიზინის რაიონებში მუშაობა უკვე სრულდება. სარაინის და ბინაგადინის რაიონებში აღმასკომები აღმოჩნდენ წერა-კითხვის უცოდინარი, რის გამო სიების შედგენა მიენდო კურსანტებს. სიები ამ დღეებში იქნება დასრულებული. მუშაობას მეტად აფერხებს ის გარემოება, რომ გლეხებს [illegible] ცხენები, რაც ხელს უშლის სოფლების შემოვლას, რომლებიც დაშორებული არიან ერთი მეორეზე დიდ მანძილით.

განჯის მაზრაში ელიან ზამთრის ნათესების მოსავალს დაბლობებში 60 ფუთამდი დესიატინიდან და 45 ფ. მთიან ადგილებში. გაზაფხულის ნათესების მოსავალი—ქერი 40 ფ. დესიატინაზე და ხორბალი 30 ფ. მუშაობას აფერხებს გადამზიდავ საშუალებების უქონლობა. ყანებში მუშაობის გამო აღმასკომები ვერ აძლევენ ცხენებს სასურსათო გადასახადზე მომუშავე მუშაკებს.

ქრონიკა

◆ **სამხედრო სასანიტრო განყოფილებისაგან.** სამხედრო სასანიტარო განყოფილების უფროსი აძლევს წინადადებას ყველა სამხედრო პირთ, რომლებიც გამოცხადდნენ აღრიცხვაზე ა. წ. მაისში, გამოცხადდნენ განყოფილებაში ივნისის 1 რიცხვიდან 5 დე სარეგისტრაციო ბარათების მისაღებად.

◆ **ფოთის ნავსადგურში.** მოვიდა 24 მაისს ოსმალეთის იალქნიანი გემი „ბულდურჯინი" ტრაპიზონიდან უტვირთოდ და 25 მაისს ქართული შხუნა „ცხენის წყალი" ბათუმიდან 15 მგზავრით, რუსული გემი „პერეკოპ"-ი სოხუმიდან 30 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით და 40 მგზავრით.

— გავიდნენ ნავსადგურიდან 24 მაისს რუსული შხუნა „კრასნი ვოდნიკ" სოხუმში 10,000 ფუთი სხვადასხვა ტვირთით და ინგლისის გემი „ბროკბილი" რატერდამში 5554 ტონა შავი ქვით და 25 მაისს „ცხენის წყალი" სუხუმში და „პერეკოპი" ბათუმში 3 მგზავრით.

სახალხო კომისართა საბჭოში.

◆ **მატყლზე მონოპოლიის შემოღება.** სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა წინადადება მატყლზე მონოპოლიის შემოღების შესახებ და მიანდო სასურსათო სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და წარმოადგინოს სახალხო კომისართა საბჭოში სათანადო დეკრეტის პროექტი.

◆ **სესხი სასურსათო კომისარიატს.** სასურსათო სახალხო კომისარიატს გაეხსნა სესხი 5,000,000,000 მანეთის რაოდენობით.

◆ **ერთიანი ნატურალური გადასახადი.** სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა სასურსათო სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს პროექტი დეკრეტისა ერთიანი ნატურალური გადასახადის შესახებ და წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

◆ **ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვა.** სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვა 1922 წლისათვის. ხარჯთ-აღრიცხვით შემოსავალი ნავარაუდევია—906,686,418,820 მან. და გასავალი—1,227,093,874,000 მან.

◆ **სესხი ტფ. ელექტრო-მექანიკურ ქარხანას.** წინადადება მიეცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს მისცეს ტფ. ელექტრო მექანიკური ქარხანას სახალხო ბანკის საშუალებით ერთი მილიარდი მანეთის სესხი ექვსი თვის ვადით.

◆ **სავალდებულო საქონლის გატანა.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით აკრძალულია სავალიუტო საქონლის საზღვარ გარეთ უბაჟოდ გატანის ნებართვების გაცემა.

◆ **თბილისის საბაჟო შენობა.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ტფილისის საბაჟოს შენობა მთლიანად გადაეცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს. იმ დაწესებულებათ და ორგანიზაციებს, რომელთაც ამ ჟამად უჭირავთ შენობა, წინადადება მიეცათ გაანთავისუფლონ იგი ერთი თვის განმავლობაში.

◆ **სოც. უზრ. კომისარიატის მოსამსახურეთა დაკმაყოფილება.** სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაუქმებული სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურენი დაკმაყოფილებულნი იქნან ხვედრი ჯამაგირით და სალიკვიდაციოთი საფონდო კომისიის მიერ პირველ რიგში.

◆ **ტფ. პოლიტეხნიკუმი,** ვინაიდან ორი უმაღლეს სასწავლებლის შენახვა—ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის და ტფ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის, მეტად მძიმეა მარტოდ საქართველოსთვის და რადგან პოლიტეხნიკური ინსტიტუტი ემსახურება აგრეთვე დანარჩენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებსაც და მისი დაკეტვა მეტად დიდი დანაკლისი იქნებოდა სამივე რესპუბლიკისათვის, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, ეთხოვოს საკავშირო საბჭოს განიხილოს საკითხი მისი შენახვის შესახებ, ისე რომ შენახვა აღნიშნულ ინსტიტუტის ნაწილდებოდეს ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკებზე.

◆ **ფარმაცევტიული ქიმიის კათედრა.** განათლების სახალხო კომისარიატს გაეხსნა 250,000,000 მან. კრედიტი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ფარმაცევტიული ქიმიის და ბოტანიკის კათედრის მოსაწყობად.

თეატრი და ხელოვნება

ეფემია მესხის იუბილე

27 მაისს, რუსთაველის თეატრში, ქართველ მსახიობთა თაოსნობით გაიმართა დამსახურებულ მსახიობ ქალის ეფემია მესხის იუბილე, მისი სცენაზე 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ იუბილიარის მონაწილეობით წარმოადგინეს „შოთა რუსთაველიდან" ერთი მოქმედება და „მადამ სან-ჟენის" უკანასკნელი მოქმედება. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა საზეიმო სხდომა. სცენის წინა მინდორზე გაშლილ დიდ მაგიდასთან სხედან იუბილეს მომწყობნი და სხვა და სხვა კულტურულ და საზოგადო დაწესებულებების წარმომადგენელნი. სცენის მარცხენა მხარეს ჩამწკრივებულნი არიან ახალგაზრდა მსახიობნი და გაწყობილ სცენის ამაღლებულ ადგილზე პირდაპირ მოსჩანს კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის მომღერალთა გუნდი, რომელიც მილოცვების შუა ასრულებს სხვა და სხვა სიმღერებს. იუბილე გახსნა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა საზეიმო მოკლე სიტყვით, რის შემდეგ შემოყავთ იუბილიარი ნატალია საფაროვ-აბაშიძეს, ელ. ჩერქეზიშვილს, ვასო აბაშიძეს და ვალერიან გუნიას, რომლის სცენაზე გამოსვლა დარბაზში იწვევს მხურვალე ტაშს და ფეხზე ადგომით უმართავენ ოვაციებს. შუა მაგიდასთან იუბილიარი იკავებს მისთვის განსაკუთრებით გამზადებულ სავარძელს. პირველათ იუბილიარს ესალმება შალვა დადიანი, რომელიც იქვე აღმართულ ეფემია მესხის ძეგლს ხსნის ზეწარს, რომელიც დაიდგმება რუსთაველის თეატრში, რასაც დარბაზი ხვდება კვლავ ოვაციებით. შემდეგ იუბილიარს ულოცავენ: მთავრობის წარმომადგენლის დავალებით კონ. ანდრონიკაშვილი და გადასცა 25 მილიონი; ქალაქის აღმასკომის სახელით მაჩაიძე, რომელმაც იუბილიარს მიართვა კალათი ყვავილებით და 15 მილიონი; სახალხო სახლის მუდმივ სცენის მოყვარეთა სახელით—სოფიო რომანიშვილი; შემდეგ მუშა-მწერალი დავით ლოლობერიძე (დონ დაჩ) რომლის გულწრფელი და ლამაზი სიტყვა განსაკუთრებით იწვევს მხურვალე ტაშს; ნატალია საფაროვ-აბაშიძე და ვასო აბაშიძე; მსახიობთა კავშირის სახელით—ტასო აბაშიძე და დავით ჩხეიძე; ჟურნალ „ნაკადულის" სახელით—ილია ნაკაშიძე და საიუბილეო კომიტეტის სახელით კონ. ანდრონიკაშვილი. იუბილიარს აგრეთვე მიულოცეს სხვა და სხვა კულტურულ და საზოგადო დაწესებულებების წარმომადგენლებმა რის შემდეგ, საიუბილეო კომიტეტის მდივანი ვ. ჯიქია კითხულობს საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებიდან და პროვინციებიდან მოსულ მოსალოც დეპეშებს, რომელთა შორის ქიათურიდან ნინო ჩხეიძის, მიშა ქორელის და სხ. მიერ გამოგზავნილი დეპეშა იწვევს აღფრთოვანებულ ტაშის ცემას. დასასრულ იუბილიარმა წარმოსთქვა ცრემლიანი გრძნობით გამთბარი სიტყვა და საზოგადოებას მიმართა მადლობით.

დღეს თეატრებში.

— სახელმწიფო ოპერა. მხიარული ქვრივი.

— რუსთაველის თეატრი. ბლიუმენტალ თამარინის გასტროლი („პუჩინა").

— პატარა თეატრი. ებრაელთა ტრუპის წარმოდგენა.

— რევ. მხატვრული. ასე იძია მან შური მაზე.

— სახალხო სახლი. მთების ბავშვები.

— მუშათა ცენტრ. კლუბი. წარმოდგენა მინიატურა.

— მ. ც. კ. ახალი თეატრი. კინო.

— საქართველოს წითელ ლაშქრის ცენტრალური კლუბი. სეირნობა ბაღში.

— თავისუფალი თეატრი.—წარმოდგენა.

— პროფკავშირთა კლუბი. თვითმოქმედების საღამო.

— კონსერვატორია კონცერტი.

— ცირკი. მრავალფეროვანი პროგრამა.

კინო-თეატრებში.

— არფასტო. მძულვარების სახლი.

— სარკის. ვერაგობა.

— კინო არს. ორგია.

— ვ. ბლიუმენტალ-თამარინის გასტროლი. დღეს ვ. ბლიუმენტალ-თამარინის მეოთხე გასტროლზე, წარმოდგენილი იქნება პიესა „პუჩინა" რომელშიაც კისელნიკოვის როლი წარმოადგენს მსახიობის ერთ საუკეთესო როლთაგანს, ოთხშაბათს 31 მაისს დაიდგმება ჩაიკოვსკის „სიმფონია".

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

მდგომარეობა გორის მაზრაში.

მცხოვრებთა სასურსათო მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს ყველა კუთხეებიდან მოსდის დადგენილებები და თხოვნები სურსათით დახმარების შესახებ. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ბორჯომის და ცხინვალის რაიონები, სადაც შიმშილის ნიადაგზე ადგილი აქვს მრავალ ბოროტებას. დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა უნდა მიიღოს ამ მოკლე ხანში ორი ვაგონი სიმინდი, მაგრამ მოთხოვნილება იმდენია, რომ აქედან შეიძლება მიეცეს 2 გირვანქა თითეულ სულს. საჭიროა დიდი დახმარება ცენტრიდან ერთი თვის განმავლობაში, მერე ახალი მოსავალი მოუსწრებს ვინაიდან ნაადრევი გაზაფხულის გამო მაისის ბოლო რიცხვებში ქერი მოსაჭრელი იქნება და დახმარებაც საჭირო აღარ იქნება.

მოსავალს წელს ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს. კარგი მოსავალი იყო წელს ხილისაც, მაგრამ მოსულმა სეტყვამ ნახევარზე მეტი წაახდინა. სიმინდის თესვა უკვე დამთავრებულია, საერთოდ თესვის საქმე კარგად იქნა ჩატარებული, ვინაიდან დამთესი კომისიის მიერ თავის დროზე იქნა მოწოდებული სათესი მასალა.

მაზრაში ხშირია დავა მიწის შესახებ, როგორც კერძო პირთა ისე მთელი სოფლების შორის, რაც ზოგიერთ შემთხვევაში მეტად სერიოზულ ხასიათს იღებს. ამ კონფლიქტების მოსაგვარებლად აღმასრულებელ კომიტეტს ხშირად უხდება ადგილობრივ კომისიების დაგზავნა, საქმის მოსაწესრიგებლად დროებით, სანამ მიწის საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდეს. ასეთი უთანხმოებების წარმოშობას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ სოფლებში ინფორმაციის საქმე ცუდათ არის დაყენებული და ხალხს სჯერა ის ათას გვარი პროვოკაციული ხმები, რომელსაც უხვად ავრცელებენ მოწინააღმდეგები მიწის საკითხის შესახებ.

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მოღვაწეობაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისი ინციატივით დაწყებულ იქნა დოესის არხის გაყვანა სიგრძით ხუთ ვერსამდე, რომლის გაყვანაც ამ დღეებში დამთავრდება. ამ არხის გაყვანით რომელიც იღებს სათავეს მდ. მტკვრიდან სოფ. ხიდისთავში, რამოდენიმე ათასი დღიური მიწები იქნენ სარწყავებათ, რაც თავის თავად დიდ დაღს დაასვამს მაზრის ეკონომიურ მდგომარეობას.

ოზურგეთის მაზრაში.

თესვის კამპანია საუცხოვოდ ჩატარდა. დათესილი მიწების რაოდენობა წასულ წელთან შედარებით მეტია 30 პროცენტით. ძველ სათეს მიწებს გარდა დამუშავებულია ახალი ადგილები. ჯეჯილი კარგად ამოდის.

ამინდი ხელს უწყობს და თუ ასე გასტანა, მოსავალს დიდს უნდა ველოდეთ.

ხეხილების ბაღები ძლიერ კარგ მდგომარეობაშია. ხილის მოსავალი კარგი უნდა დარჩეს.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

კოოპერაცია საქართველოში *)

(ამიერ-კავკასიის კოოპერაციის გაერთიანებისათვის)

V.

უკვე 1916 წლიდან საქართველოს მომხმარებელთა კოოპერაცია შეუდგა საზოგადოებათა შეკავშირებას და მეორე საფეხურის კოოპერატიულ ორგანიზაციების შექმნას. მომხმარებელთა კოოპერაციის განვითარების ეს ხანა ხასიათდება იმ გარემოებით, რომ საკავშირო აღმშენებლობამ იწყო სწრაფი გაზრდა მთელ ამიერ-კავკასიაში. თითქმის ჯერ კიდევ არსად არ იყო რაიონული უფრო წვრილი გაერთიანებანი, როდესაც 1916 წ. თბილისის კოოპერატივის ინიციატივით შეუდგენ მომხმარებელთა საზოგადოებების ამიერ-კავკასიის კავშირის შექმნას. პირველად ამიერ-კავკასიის კავშირში შევიდა 120 საზოგადოება, რომელთაგანაც 108 იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, 9 სომხეთში და 3 აზერბეიჯანში. 1919 წელს ამიერ-კავკასიის კავშირში შედიოდა უკვე მომხმარებელთა საზოგადოებების 93 პროც.

კავშირის ასეთი დატვირთვა კოოპერატიული იაჩეიკებით რასაკვირველია უარყოფით გავლენას მოახდენდა როგორც სწორ სამეურნეო მოქმედებაზე ისე მუშაობაზე საინსტრუქტორო-სარევიზიო სფეროში.

ადგილებზე წარმოიშვა ტენდენცია ახლო მდებარე ეკონომიურ ცენტრების გარშემო გაერთიანებათა შექმნისა. ეს მისწრაფება ეთანხმებოდა თვით ამიერ-კავკასიის კავშირის საორგანიზაციო გეგმას. რაიონულ კავშირების საორგანიზაციო მუშაობა, რომელიც დაიწყო 1917 წ. დამთავრდა 1919 წ. მხოლოდ 3 კავშირი მოეწყო 22 იდან 1920 წელში.

სარაიონო კავშირების მზგავსად გაერთიანდნენ ამ წლებში მომხმარებელთა საზოგადოებები აზერბეიჯანსა და სომხეთში. აზერბეიჯანში შექმნეს ეგრედ წოდებული პრიკასპიის კავშირი „კოოპერაცია", სომხეთში—„ერევნის რაიონული კავშირი".

მომხმარებელ კოოპერატივთა რაიონებად დაყოფის სურათი საქართველოში 1920 წ. 1 იანვრისათვის იძლეოდა შემდეგ სურათს:

---

*) იხ. „კომუნისტი" № 119.

რაიონული კავშირები და ცალკე კოოპერატივები.	მონაწილე საზოგად. რიცხვი რაიონებში.	შედიან რაიონულ კავშირში.	არ შედიან.	წევრთა რიცხვი საკავშირო საზოგად.	წევრების რიცხვი საკავშ. საზოგ. გარეშე.
1. სენაკის კავშირი	50	44	5	13574	400
2. სამტრედიის „	44	44	—	15285	—
3. სიღნაღის „	32	30	2	20831	1819
4 დუშეთის „	17	17	—	7034	—
5. ჩოხატაურის „	35	35	—	10309	—
6. ზესტაფონის „	49	49	—	19586	—
7. ოზურგეთის „	36	36	—	9125	—
8 ქუთაისის „	153	114	39	38999	4897
9. აბაშის „	36	30	6	8045	1600
10. თელავის „	11	11	—	6632	—
11. გორის „	40	40	—	15344	—
12 გომის „	32	32	—	20421	—
13 ჭიათურის „	32	32	—	14735	—
14. ლანჩხუთის „	41	38	3	9626	650
15. ნატანების „	19	19	—	4539	—
16 საჯავახოსი „	13	13	—	3498	—
17. ლორის „	45	21	24	11619	14020
18. ვორონცოვის „	19	10	9	2232	—
19. თბილისის „	21	21	—	67704	—
20. ზუგდიდის „	94	92	2	21806	—
21. ახალქალაქის „	32	32	—	8214	—
22. ახალციხის „	5	5	—	1089	—
23. თბილისის მაზრის კოოპ.	26	26	—	14579	—
24 სოხუმის „ „	17	11	6	7375	—
25. ქ. ბათუმის „ „	2	2	—	6830	—
26 ქ. ფოთის „ „	1	1	—	2449	—
27. თიონეთის „ „	1	1	—	1253	—
სულ	903	806	97	362738	23386

ამ რიგად ამიერ-კავკასიის კავშირი გარდაიქმნა მესამე ხარისხის ორგანიზაციად—კავშირთა კავშირად. მას შემადგენლობაში უშუალოდ შედიოდენ მხოლოდ ისეთი ძირითადი კოოპერატივები, რომელნიც თავის გეოგრაფიული მდებარეობის გამო ვერ იყვნენ დაკავშირებული რაიონულ კავშირთან.

V.

უკვე 1918 წლის კოოპერატივთა ამიერ-კავკასიის კავშირის რწმუნებულთა მორიგ ყრილობაზე, საქართველოს ნაციონალურად განწყობილ კოოპერატორებმა დასვეს საკითხი ამიერ-კავკასიის კოოპერაციის ნაციონალური ფარგლებით გათიშვის შესახებ. მათ ხელში იყო რიცხვობრივი იარაღი: დაახლოებით 90 პროც. მონაწილე საზოგადოებათა (938 საერთო რიცხვიდან), რომელნიც შედიოდენ ამიერ-კავკასიის კავშირში მოქმედებდენ საქართველოს ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ აზერბეიჯანის და სომხეთის კოოპერატივთა რწმუნებულებმა ენერგიული პროტესტით და გაავთრებული მოწოდებით გაილაშქრა ამის წინაალმდეგ და მოაგონეს ყრილობას ყოველი კოოპერატიული მოძრაობის ინტერნაციონალური ხასიათის შესახებ და თუნდაც კოოპერატიულ გაერთიანების სფეროში მაშინ დაწყებულ ნაციონალისტურ განხეთქილების და ამიერ-კავკასიის ხალხების დაქსაქსვასა და მის წინაალმდეგობის გაწევის აუცილებლობაზე, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ადასტურებს ამიერ-კავკასიის კავშირის საქართველოს კოოპერატივთა კავშირად (ცეკავშირად) გარდაქმნა. ფაქტიურად ეს გარდაქმნა დამთავრდა 1919 წელს.

ამ მომენტიდან აზერბეიჯანის და სომხეთის კოოპერაცია იწყებს თავის ნაციონალურ ჩარჩოებში არსებობს.

ცეკავშირი.

ამ რიგათ, 1916 წელში მოწყობილი ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი, 1919 წელში გადააკეთეს საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირიდან—„ცეკავში". ამ დროს ცეკავშირი უკვე საკმაოდ ძლიერი ორგანიზაცია იყო, იმდენად ძლიერი, რომ არ ერიდებოდა თავისი თანხები გაეღო ისეთ წარმოებათა შესანახად, როგორიც იყო, მაგალითად, პეჩერსკის კაპელის შენახვა და სხვ. თავისი სტრუქტურის მიხედვით ცეკავშირი წარმოადგენს შორეულ ტიპის კავშირს, ე. ი. ისეთს ორგანიზაციას, რომელიც აერთებს თავის შემადგენლობაში ყოველგვარ სახის კოოპერაციას, მაგრამ მაინც უმთავრეს როლს მის შემადგენლობაში თამაშობს მოხმარებელი კოოპერაცია.

ცეკავშირის სატრიალო თანხის თანდათანი გაძლიერება შეიძლება და ვინახოთ შემდეგი ცხრილიდან.

1 იანვრისათვის 1917 წ. — 145 ათასი მანეთი
„ „ 1918 „ — 495 „ „
„ „ 1919 „ — 1.956 „ „
1 „ 1920 „ — 9.100 „ „

საერთო ხარჯთ-აღრიცხვა იმავდროის განმავლობაში შემდეგი იყო.

1917 წ. — 45 მილიონი მანეთი
1918 წ. — 67 „ „
1919 წ. — 303 „ „
1920 წ — 1 961 „ „

საპაიო კაპიტალი, საქონლის ტრიალი და წმინდა მოგება იმავე პერიოდის განმავლობაში უდრიდა

წელი	საპაიო კაპიტალი	საქონლის ტრიალი	წმინდა მოგება
1916	50.000 მ.	725.000 მ.	6 000 მ.
1917	284.000 „	8,431.000 „	173.000 „
1918	306 000 „	18 760.000 „	1.321.000 „
1919	388.000 „	91.500.000 „	6.238.000 „
1920	2.000.000 „	500.000.000 „	30.000.000 „

საკუთარ წარმოებათა ორგანიზაციას ცეკავშირი შეუდგა 1919 წ. მან შექმნა და შეიძინა შემდეგი წარმოებანი 1) საკონსერვო ფაბრიკა ბოსტნეულისა და ხილის გადასამუშავებლად გორის მაზრაში. 2) მექანიკური სახელოსნო, სადაც რემონტს უკეთებენ და ამზადებენ სასოფლო სამეურნეო პატარა იარაღებს. 3) საპნის ქარხანა, 4) სტამბა, 5) „კოლბასის" ქარხანა, 6) შუშისა და ჭურჭლის ქარხანა.

(დასასრული იქნება)

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა მიწათმოწყობის შესახებ. (შედგენილია 1921 წ. აპრილის 6-ს თარიღისა და მე 17 №-ის დეკრეტის მე-18 მუხლის თანახმად).

I.

ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მთელი მიწა-წყალი შეადგენს ერთიან სახელმწიფო ფონდსა და ამ მიწაზე მცხოვრებ მშრომელ ხალხის საერთო კუთვნილებას. ამ ფონდს განაგებს და აწესრიგებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

2. მიწათმოწყობის მიზანია 1921 წ. აპრილის 6-ს თარიღისა და მე-17 №-ის დეკრეტის განხორციელება.

3. მიწათმოწყობის საგანს შეადგენს:

ა) მიწით დაკმაყოფილება: 1 უმიწაწყლო გლეხისა და მცირე მიწაწყლის მქონე მეურნის; 2) კულტურულ, სამრეწველო, (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) და ადმინისტრატიული დაწესებულებისა და 3) კომუნისა, ამხანაგობისა, ან არტელისა და სხვა კოლექტივების.

ბ) მჭიდრო დასახლებულ სოფლების განტვირთვა და ახალშენების მოწყობა;

გ) მიწის დაქუცმაცების თავიდან აცილება და მიწების რაციონალურად დანაწილება.

4. მიწათმოწყობის სამუშაოს უშუალო აღმასრულებელნი არიან:

მიწათმოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილებანი და სასოფლო სადგილ-მამულო კომიტეტები, რომელთა ფუნქციები და მოქმედების საგანი ცალკე ინსტრუქციით განისაზღვრება.

II.

მიწის ნორმა.

5. მიწის ნორმის განსაზღვრის საფუძველია ცალკე მეურნეობა (კომლი) და მიწის ავკარგიანობა.

6. მიწის ნორმა ყოფილი საკუთარი მამულიდან დაეტოვება მხოლოდ იმ მეურნეს, რომელიც ცხოვრობს ადგილობრივ და საკუთარის შრომით ეწევა მეურნეობას.

მოხუცებულ დავრდომილს, ქვრივობოლს, მიწის მუშა წითელ არმიელს და ყველას, ვინც მობილიზაციით დროებით მოწყვეტილ იქნება მეურნეობას,—დაეტოვება სრული ნორმა ყველა მუშა მოსამსახურეს, რომელიც მსახურობს განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებაში და წარმოებაში (როგორიც არის მაგალითად რკინის გზა, ქვა ნახშირის მრეწველობა და სხვა) დაეტოვება ნახევარი მიწის ნორმა

შენიშვნა 1: ოჯახის წევრად ჩაითვლება მოსწავლეც 25 წლის ასაკამდე.

შენიშვნა 2: სამოსახლო და სხვა მიწის ნორმები აღნიშნულია ამ მუხლის ცალკე დამატებაში.

7. მეურნეს, რომელიც ინტენსიურად ამუშავებს მიწას (მისდევს ჩაის, თამბაქოს, ვენახის, ძვირფასი მცენარეების და სხვა ამგვარ სამრეწველო კულტურას) დაეტოვება მთლად ის მიწა, რომელიც ფაქტიურად მის სარგებლობაში არის და შემუშავებულია მისი პირადი და მისივე ოჯახის წევრთა შრომით, თუნდაც ამ მიწის რაოდენობა დაწესებულ ნორმას აღემატებოდეს და უკეთუ ეს მეურნეობა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ჩარიცხული არ იქნება საბჭოთა მამულად.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო მფლობელს დაეტოვება ისეთი კულტურული მამული, რომელიც ნორმას აღემატება, ეს მამული შეიძლება დაიბეგროს განსაკუთრებული გადასახადით საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დასტურით.

9. მიწა მიეცემა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელიც პირადი შრომით ამუშავებს მიწას და რომლის საცხოვრებელ წყაროსაც შეადგენს სოფლის მეურნეობა, აგრეთვე ქვრივს, ობლებს და დავრდომილთ.—ფონდიდან მიწის მიცემა სწარმოებს თავისუფალი მიწის ფონდის რაოდენობის მიხედვით,

9. ახალშენში გადასახლებულის მიწით დაკმაყოფილება მოხდება იმავე ნორმით, რომელიც დაწესებულია იმ რაიონებისათვის, სადაც სახალშენო ფონდი არსებობს. მოახალშენე ვალდებულია თავისი უძრავი ქონება ძველ ბინადრობაზე გადასცეს ადგილობრივი საბჭოს განკარგულებაში, ახალშენში მოწყობის შემდეგ, ხოლო არა უგვიანეს ორი წლისა დღიდან ახალშენში გადასახლებისა.

10. კომუნას, ამხანაგობას ან არტელს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით, შეიძლება მიეცეს ესა თუ ის კულტურულად შემუშავებული მამული მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ კოლექტივში შევლენ იმ სოფლის, ან მომიჯნავე სოფლის უმიწაწყლო, ან მცირე მიწის მქონენი, რომელ სოფელშიაც მდებარეობს მამული. ასეთ კოლექტივში შეიძლება წევრად მიღება ერთი ან რამდენიმე გარეშე პირისა, თუ ისინი თავისი სპეციალური ცოდნის საჭირონი არიან ამხანაგებისათვის.

III

მიწის სარგებლობა

11. მიწის სარგებლობის ფორმა, იქნება იგი საკომლო, საარტელო, საამხანაგო, საკომუნო თუ სათემო, თავისუფალია.

შენიშვნა: სათემო მიწის სარგებლობის მონაწილეს ნება აქვს ყოველ დროს გამოვიდეს სათემო წესიდან და ცალკე სარგებლობისათვის მიიღოს მიწის ხვედრი ნორმა.

12. მიწათ-მოქმედების მუშაობის დამთავრების შემდეგ მიწების გადაყოფა (передел) აკრძალულია.

13. მიწის სარგებლობა არის უვადო, შეუწყვეტელი და საშვილიშვილო.

14. მიწის სარგებლობის უფლება მოისპობა:

ა) როცა ოჯახის ყველა წევრი თავის ნებით უარს იტყვის მიწის სარგებლობაზე;

ბ) ოჯახის გადაშენებით;

გ) როცა ოჯახი გადასახლდება ახალ ადგილზე.

დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონში განსაზღვრული დანაშაულობისათვის.

ე) მიწის ჩამორთმევით სახელმწიფოს საჭიროებისათვის (გზებისა და არხების გასაყვანად, სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებათათვის და სხვ.).

შენიშვნა: მეხუთე წერტში აღნიშნულ შემთხვევაში მიწის პატრონს უნდა აენაზღაუროს ზარალი და, შეძლების დაგვარად, მიეცეს სხვა მიწა.

15. მიწის სარგებლობის უფლების გადაცემა (გაყიდვა, ჩუქება, დაგირავება და იჯარით გაცემა) აკრძალულია.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში სტიქიური უბედურების გამო (მოუსავლობა, პირუტყვის გაწყვეტა და სხვ.) ან მუშა ხელის დაკლების მიზეზით (მობილიზაციით გაწვევა და სხ.) დროებით შერყეულ მეურნეობას, აგრეთვე ქვრივ-ობლებს და მოხუცებულ დავრდომილებს, უფლება ეძლევათ—მიწა იჯარით გასცენ მიწათმოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილების კონტროლს ქვეშ, რომელი განყოფილებაც მოქმედებს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციების თანახმად იჯარის შესახებ.

16. დაქირავებული შრომის სარგებლობა სასოფლო მეურნეობაში შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის კონტროლის ქვეშ:

ა) იმათთვის ვისაც აქვს უფლება მიწის იჯარით გაცემისა (შენიშვნა მე-15 მუხლისა) და

ბ) სასწრაფო, ვადიანი სამუშაოს სეზონში: თოხნისა, მკისა, ვენახის ან სხვა მცენარეების წამლობისა, ჩაის მოკრეფისა, ჭირნახულის მოწევის დროს და სხვ.

17. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალება შეიმუშაოს ამა დებულების განსამარტებლად ცალკე ინსტრუქციები.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. მაისის 26.

ტფილისი—სასახლე.

დამატება

მიწათმოწყობის დებულების მე-6 მუხლისა.

1. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, **ვისაც სოფლად აქვს ცალკე მოსახლეობა,** სულ ერთია აქვს მას უფლება მიწის ნორმის მიღებისა თუ არა, შეუძლიან დაიტოვოს სამოსახლო ადგილი ზომით არა უმეტეს 1200 კვ. საჟენისა ერთ ნაჭრად, ხოლო ვისაც სამოსახლო ადგილი ახლად უნდა მიეცეს, მას მიეზომება სამოსახლო ადგილი არა ნაკლებ 300 და არა უმეტეს 600 კვ. საჟენისა. ეს ნორმა სამასალო ადგილისა ქვემოდ მოყვანილ მიწის ნორმაში არ ჩაითვლება.

2. მიწის ნორმების განსაზღვრისათვის საქართველოს ტერიტორია გაიყოფა შემდეგ ხუთ რაიონად:

პირველ. რაიონს შეადგენს: გორის მაზრის მთიანი ნაწილი ტირიფონის ველის და ცხინვალის ჩრდილოეთით, დუშეთის მაზრა, გარდა ხევსა და გუდამაყრის ხეობისა და მუხრანის და საგურამოს საგრარო რაიონებისა; თიანეთის მაზრა გარდა მთიან ფშავ ხევსურეთისა, თელავის მაზრა მთლად, სიღნაღის მაზრის ალაზნის ხეობა, ბორჩალოს მაზრის გარაგანის, დმანის-გასანლინის, გიაურ არხის, არუხლო სარვანის და აშაგა-სეილის თემები და ტფილისის მაზრის ყარაიას ველი.

მეორე. რაიონს შეადგენს, სიღნაღის ტფილისის და ბორჩალოს მაზრების დანარჩენი ნაწილები და დუშეთის მაზრის ხევი და გუდამაყარის ხეობა.

მესამე რაიონს შეადგენს მტკვრისა და ლიახვის ხეობა, გორის მაზრის საზღვრებში—ცხინვალის სამხრეთით და დუშეთის მაზრის მუხრანისა და საგურამოს საგრარო რაიონები.

მეოთხე რაიონს შეადგენს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები (მესხეთი და ჯავახეთი). და

მეხუთე რაიონს—იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, გურია და სამეგრელო.

შენიშვნა 1: საგრარო რაიონების შედგენილობა სოფლობით მიღებულია იგივე, რაც მიწათ-მოქმედების სამაზრო განყოფილებისათვის.

შენიშვნა 2: დავას რომელიმე სოფლის ამა თუ იმ რაიონზე მიწერის შესახებ გადასწყვეტს სადგილ-მამულო კომიტეტი.

3. ნორმად დასატოვებელი და დასანაწილებელი ყველა მიწა გაიყოფა ოთხ კატეგორიად:

პირველ კატეგორიაში ჩაითვლება: საეზოვე, ბაღი, ვენახი, საბოსტნე, კარზე ტყე, ხელოვნურად გაშენებული ტყე და უმაღლეს კულტურისათვის სავარგისი სარწყავი სახნავი მიწა, სარწყავი სათიბი და ის ურწყავი მიწები, რომელიც კარგ მოსავალს იძლევა.

მეორე კატეგორიაში: სახნავ სათესი მიწა, რომელიც სისტემატიურად არ ირწყვება, ურწყავი სახნავი მიწა, რომელიც საშუალო მოსავალს იძლევა, ურწყავი სათიბი და ვაკე ჯაგნარი, რომელსაც გაკაფვის შემდეგ საშუალო მოსავლის მოცემა შეუძლიან.

მესამე კატეგორიაში: ყველა სხვა სახნავი მიწა და ეწერი. და

მეოთხეში ჩირგვნარიანი ფერდო და ქვიანი ჩირგვნარი.

შენიშვნა: გამოუსადეგარი მიწა წყალი, როგორც მაგალითად, გზა, რიყე, ტბა, ჭაობი, მდინარე, ღელე, ხრამი, კლდე, მეწყერი და სხვა ამგვარი რამ, თუ რომელიმე მათგანს განსაკუთრებული ღირებულება არა აქვს, ნორმაში არ ჩაითვლება.

4. მიწის ნორმა დაწესდება საშუალო ოჯახზე. საშუალო ოჯახად ჩაითვლება თვითეული ცალკე კომლი, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებულ და დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს 3—5 სულისაგან შედგარს როცა ოჯახში ხუთ სულზე მეტია, ნორმას ემატება თითო ზედმეტ სულზედ ნორმის ერთი მეათედი და როცა სამ სულზე ნაკლებია ნორმას აკლდება ამდენ ვე თითო ნაკლებ სულზე.

5. მიწის ნორმები, რომელიც დაეტოვება თითო კომლს:

რაიონი	კატეგორია		დესეტინობით	
	I	II	III	IV
პირველი	ოთხი	ექვსი	რვა	ათი
მეორე	ოთხ ნახევარი	ექვსი	შვიდ ნახევარი	ცხრა
მესამე	სამი	ხუთი	ექვსი	შვიდ ნახევარი
მეოთხე	სამ ნახევარი	ხუთი	ექვს ნახევარი	რვა
მეხუთე	ორ ნახევარი	ოთხი	ხუთი	ექვსი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ მაისის 26. თფილისი—სასახლე.

სარედაქციო კოლეგია

პარტიული

ყველა იაჩეიკების მდივნებს საქართველოს კომპარტიის თბილ. ორგანიზაციის მეორე რაიონული კომიტეტი აუწყებს, რომ ოთხშაბათს, მაისის 31 საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება საერთო რაიონული კრება.

დღის წესრიგი: 1) გენუას კონფერენციის შედეგები.

2) მიმდინარე საკითხები.

ყველა კანდიდატების და წევრების გამოცხადება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. ქევორკიანი.

საქართველოს ს. ს. რ. საზ. მეურნეობის უ. ს.
სპირტ-კონიაკის და არაყის
სახელმწიფო ტრესტი

ჰყიდის ბითუმად
ყველა ქარხნების სპირტის, კონიაკის და არაყის ნაწარმოებს.

ჰყიდულობს
ქარხნებისათვის საჭირო ნედლ მასალას.

საწყობები მოთავსებულია ტრესტის ქარხნებთან
ტფილისში: 1. ყოფილ დ. ზ. სარაჯიშვილისა—ოლღას ქ. № 30.
2. ყოფ. „არგო" ნიკოლოზის ქ. № 13.
3. ყოფ. კალანდაძისა (სეილანოვისა) ვაგზლის ქ.
სადგ. გომში (გორის მაზრა)
4. ყოფ. სოგომონოვისა.
სოფ. აბახთუმანში (ზუგდიდის მაზ.)
5. ყოფ. პროცერისა.
ტრესტის მისამართი:
ტფილისი, პუშკინის ქ. № 3.
გამგეობა.
3—3

ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების-გაერთიანებულ რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს მგზავრების საყურადღებოდ, რომ იმ პირთათვის უფრო მოხერხებული მგზავრობისათვის, რომლებიც მგზავრობენ ბათუმ ბაქოს შორის კვირაში ერთხელ ივლის ჩქარი მატარებელი № 1—2. გამოვა ბათუმიდან № 1 ხუთშაბათობით 12 ს. 45 წ., მოვა თბილისში პარასკეობით 6 ს. 05 წ., გავა თბილისიდან პარასკეობით 10 ს. 30 წ. განჯაში მივა პარასკეობით 20 საათსა 42 წუთ. წავა იქიდან 20 საათსა 57 წუთ., მივა ბაქოში შაბათობით 11 საათსა 12 წუთ. გამოვა ბაქოდან მატარებელი № 2 კვირაობით 13 ს. 25 წ., მოვა განჯაში ორშაბათობით 5 ს. 15 წ. და იქიდან 5 ს. 30 წ. გამოსვლით მოვა თბილისში ორშაბათობით 14 ს. 5 წ. გავა თბილისიდან ორშაბათობით 18 ს. 25 წ. და მივა ბათუმში სამშაბათობით 14 ს. 00 წ. მატარებელი შედგება სამი საუკეთესო რბილი და სამი მაგარი ვაგონებიდან. ყველა ადგილები დანომრილია, არის საწოლი ადგილები, ამასთანავე მთელი მატარებელი მოწყობილია ელექტრონით. მატარებელს ახლავს ვაგონი რესტორანი ცხელი და ცივი საუზმეთი. მგზავრებისთვის უფრო მოსახერხებლად გასვლის პირველ დაწყებით პუნქტებში შემოღებულია წინასწარი ჩაწერა ბილეთების წინასწარი გაყიდვით, როგორც რკინის გზის ისე ქალაქის სადგურებზე.

3—1

გაზეთის ტრესტის მთავარ
კანტორისაგან

გრძელდება ხელის მოწერა თბილისის ყველა გაზეთებზე ივნისისათვის. ხელის მოწერის ფასი იგივეა რაც იყო წინად. ხელის მოწერა შეიძლება ყოველ დროს წლის დამლევამდე, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ ხელის მოწერის ფასმა აიწია, დასამატი ღირებულებაც შემოტანილ უნდა იქნას ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელი თვეებისათვის. იმ ხელის მომწერთ, რომელნიც ხელის მოწერის ფასს არ შემოიტანენ 30 მაისამდე, გაზეთების მიწოდება შეუწყდებათ.

გაზეთის ტრესტი
რკინის გზების კიოსკების განყოფილება
თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

გაიხსნა კიოსკები რკინის გზის შემდეგ სადგურებზე:
თბილისი, მიხაილოვი, შორაპანი, ზესტაფონი, სამტრედია, აბაშა, ახალ-სენაკი, ქუთაისი, ფოთი, ბათომი.

სწარმოებს გაყიდვა: ადგილობრივ და სატახტო ქალაქების **გაზეთების და ჟურნალების, ლიტერატურულ წიგნების, საკანცელარიო და საწერ ნივთების.**

ამ დღეებში გაიხსნება კიოსკები აზერბეიჯანსა და სომხეთში.

მთავარი კანტორა იღებს გასავრცელებლად ყოველგვარ გამოცემას.

ქალ თბილისის აღმასრულებელი
კომიტეტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ის სახლები, რომლებიც მეპატრონეების მიერ არ გატარებულა რეგისტრაციაში, გამოცხადებულ იქნებიან უპატრონოთ და ქალაქის ხელში გადავლენ.

აღმასკომი უკანასკნელად აფრთხილებს მეპატრონეებს და წინადადებას აძლევს მათ, რათა შეეცადონ თავის სახლები რეგისტრაციაში გაატარონ ამა წლის 20 ივნისამდე, რომლის შემდეგაც განცხადებების მიღება შეწყვეტილი იქნება.

(2—2)

საზ. მეურ. უმაღ. საბჭოს სატყეო
კომიტეტი
მსურველებს აწვდის 20 მაისიდან
საწყობებიდან (ხეტყის ქარხანა № 3 დიდიმთავრის ქუჩა, და სატყეო მასალის საწყობი დიდუბეში):

1) ფიჭვის და ნაძვის 1-ლ ხარისხის ფიცრებს 50,000 მანეთი კვადრატიული ვერშოკი სიგრძით 12 არშინი, მე-2 ხარისხის—40,000 მანეთი.

2) ნიგვზის ხის, მუხის, კარაგაჩის და აგრეთვე რბილი ჯიშის მასალა ცალკე შეთანხმებით.

(3—1)

დაიკარგა
დროებითი პარტიული მოწმობა № 209. სოფ. ნიჩბისში მცხოვრები ლადო ხუტაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1)

დაიკარგა კომპარტიის საწევრო ბილეთი ერმინე ვაცაძის სახელზე მიღებული ბორჯომის რაიკომიდან და მოწმობა სამხ. სამსახ. მიღებული გორის მაზრის სამხედრო უფროსისგან 1919 წ. მოსიკის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

(1—1)

განცხადება
ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო მოსამართლე
აცხადებს, რომ 6 აპრილს 1922 წლის დადგენილებით შესრულებისათვის დამტკიცებულია გარდაცვალებულ მარიამ გიორგის ასულ ღლონტის ანდერძი შედგენილი ქ. თბილისის თანამდებობაზე აღმასრულებელთან ნოტარიუს წინამძღვაროვის ს. ისარლოვის 15 მარტს 1918 წლის რეესტრით № 405.
სახალხო მოსამართლე მარ. ჩხეიძე.
(1—1)

ქ. ტფილისის მე-11 რაიონის სახალხო მოსამართლე
იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ კონსტანტინე თოფურიასი, რომელთაც ნება აქვთ განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის განმავლობაში დღიდან ამა გამოცხადებისა.
სახალ. მ-სამართლე (ხელს აწერს).
(1—1)